

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია



კომპილაციური
გარიგების
სახელმძღვანელო

ISRS™ 4410

მცირე და საშუალო პრაქტიკის (SMP) კომიტეტი, რომელიც შეიქმნა 2005 წელს, მხარს უჭერს IFAC-ის SMP-ის საქმიანობას. როგორც პროფესიონალ ბუღალტერთა სტრატეგიული საკონსულტაციო ორგანო, SMP კომიტეტი მხარს უჭერს IFAC-ის მუშაობას სამ ძირითად სფეროში:

- სტანდარტების დადგენა – საერთაშორისო სტანდარტების დადგენის პროცესში ინფორმაციის რეგულარული და დროული შეყვანა, რათა უზრუნველყოს მცირე და საშუალო საწარმოების (SME) და მცირე და საშუალო პრაქტიკების (SMP) საერთაშორისო სტანდარტების სტაბილურობა, რელევანტურობა და პროპორციონალობა;
- რესურსები და ინსტრუმენტები – საერთაშორისო სტანდარტების, პრაქტიკის მენეჯმენტისა და ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების დანერგვაზე ორიენტირებული პრაქტიკული სახელმძღვანელოების შემუშავება და გაზიარება; და
- საჯარო გამოსვლები და საუბარი – SMP-ების ცნობადობის და აღიარების ხელშეწყობა, ასევე SMP-ებისა და SME-ების სახელით გამოსვლები და ადვოკატირება მსოფლიო მასშტაბით.

IFAC-ის მისია არის ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს:

- ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებასა და გაუმჯობესებას;
- ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების მიღებასა და დანერგვას;
- ძლიერი პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციებისა და საბუღალტრო ფირმების, ასევე პროფესიონალ ბუღალტრების მიერ განხორციელებული მაღალი ხარისხის პრაქტიკის განვითარება და ხელშეწყობა; მსოფლიოში პროფესიონალ ბუღალტრების დაფასება და მნიშვნელობა; და
- საზოგადოებრივი ინტერესების საკითხებზე საჯარო გამოსვლები და საუბარი.

SMP კომიტეტი გამოხატავს მადლიერებას, და მადლობას უხდის Dawn McGeachy-ს და სტანდარტების დანერგვის სახელმძღვანელოს სპეციალურ სამუშაო ჯგუფს, რომლებიც დაეხმარნენ კომიტეტს ამ სახელმძღვანელოს ჩამოყალიბებაში. სტანდარტების დანერგვის სახელმძღვანელოს სპეციალური სამუშაო ჯგუფი შედგება კომიტეტის წევრებისგან: Abdulwahid Aboo, Katharine E. Bagshaw, Monica Foerster, Antoni Gomez, Andreas Noodt, და Inge Saeys; და ტექნიკური მრჩეველებისგან: Michael K. Mbaya, Ken McManus, Wassim Khrouf, Twaha Kaawaase, Gerard Albrieux, Gillian Waldbauer and Guy Van de Velde.

ეს გამოცემა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ: [IFAC website](http://ifac.org). დამტკიცებული ტექსტი ინგლისურ ენაზეა გამოქვეყნებული. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ელფოსტაზე: [Christopher Arnold](mailto:Christopher.Arnold@ifac.org), ტექნიკური მენეჯერი, SME & SMP საკითხებში.

დოკუმენტის წინასწარი ვარიანტი, საკონსულტაციო დოკუმენტები, და IFAC-ის სხვა გამოცემები გამოცემულია IFAC-ის მიერ და წარმოადგენს IFAC-ის კოპირაიტს.

IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას იმ პირზე, რომელიც მოქმედებს ან თავს იკავებს იმოქმედოს ამ გამოცემაში მოცემული მასალის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, ასეთი ზარალი გამოწვეულია დაუდევრობით თუ სხვაგვარად.

IFAC-ის ლოგო, 'International Federation of Accountants', and 'IFAC' წარმოადგენს IFAC-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს, ასევე მომსახურების სახელსა და ნიშნებს აშშ-ში და სხვა ქვეყნებში.

Copyright © September 2015 by the International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია. წერილობითი ნებართვა IFAC-დან საჭიროა ამ დოკუმენტის კოპირებისთვის/რეპროდუცირებისთვის, შენახვისთვის ან გადაცემისთვის, ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის. საკონტაქტო ელფოსტა: permissions@ifac.org

ISBN: 978-1-60815-249-0

შინაარსის ცხრილი

წინასიტყვაობა	v
1. როგორ გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო	1
1.1 შესავალი	2
1.2 შინაარსი და სტრუქტურა	3
2. რა არის კომპილაციური გარიგება?	5
2.1 ელემენტები	6
2.2 დანიშნულება და პრივილეგიები	8
2.3 საფუძვლები	9
3. მიღება/დათანხმება	15
3.1 არის თუ არა ფირმა მზად?	16
3.2 შესაძლებელია თუ არა გარიგების მიღება ან გაგრძელება?	19
3.3 შეათანხმეთ გარიგების პირობები	21
4. დაგეგმარება	25
4.1 კომუნიკაცია/ინფორმაციის გაცვლა	26
4.2 არსებითობის განხილვა	27
4.3 სამეურნეო ერთეულის შესწავლა	27
4.4 პროცედურები	29
5. შესრულება	31
5.1 პროცედურების შესრულება	32
5.2 მიღებული ფინანსური ანგარიშგებების განხილვა	37
5.3 დოკუმენტაცია	38
6. ანგარიშგება/რეპორტი	41
6.1 ანგარიშგების შედგენა/ჩამოყალიბება	42
6.2 ანგარიშგების ფორმულირება	43
დანართი ა — ამ სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინების აღწერა	46
დანართი ბ — კლიენტის მიღების/გაგრძელების საკონტროლო ჩამონათვალი/სია	48
დანართი გ — გარიგების წერილის ნიმუში	50
დანართი დ — მიმაგრებული ფაილების/შესრულებული საქმის ჩამონათვალის ნიმუში	54
დანართი ე — ალტერნატიული კომპილაციური ანგარიშგება/რეპორტი	56

“This “Guide to Compilation Engagements” of the SMP Committee published by the International Federation of Accountants in September 2015 in the English language, has been translated into Georgian by the Georgian Federation of Professional Accountants and Auditors in June 2019, and is reproduced with the permission of IFAC. The approved text of all IFAC publications is that published by IFAC in the English language. IFAC assumes no responsibility for the accuracy and completeness of the translation or for actions that may ensue as a result thereof.

English language text of “Guide to Compilation Engagements” © 2015 by IFAC. All rights reserved.

Georgian language text of “Guide to Compilation Engagements” © 2019 by IFAC. All rights reserved.

Original title: “Guide to Compilation Engagements, ISBN: 978-1-60815-249-0”

Contact Permissions@ifac.org for permission to reproduce, store or transmit, or to make other similar uses of this document.”

წინასიტყვაობა

მარეგულირებელი გარემო იცვლება. შედეგად, სულ უფრო მეტი მცირე- და საშუალო-ზომის საწარმო (SMEs) ახლა შეძლებს აირჩიოს შესაბამისი მარწმუნებელი ან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. მაგრამ მათ დასჭირდებათ დახმარება. საბუღალტრო პრაქტიკა, განსაკუთრებით კი მცირე- და საშუალო-ზომის პრაქტიკა, რომელიც, როგორც წესი, ემსახურება მცირე- და საშუალო-ზომის საწარმოებს, შეუძლია დაეხმაროს თავის კლიენტებს შეარჩიონ შესაბამისი მომსახურება და, საჭიროების შემთხვევაში, მან უნდა მოახდინოს თავისი მომსახურების ადაპტაცია, რათა შესთავაზოს თავის კლიენტებს ის, რაც მათ სჭირდებათ და დააკმაყოფილოს მათი ახალი მოთხოვნები.

კომპილაციური გარიგება, რომელიც გამოიყენება წინა პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და წარდგენისას, შეიძლება მორგებული იყოს სამეურნეო ერთეულის უნიკალურ მოთხოვნილებებზე და შეიძლება იყოს შესაფერისი ვარიანტი, განსაკუთრებით კი მცირე- და საშუალო-ზომის საწარმოებისთვის (SME კლიენტებისთვის). კომპილაციური გარიგების სახელმძღვანელო მიზნად ისახავს დაეხმაროს პრაქტიკოს-ბუღალტრებს, რათა მათ გაიგონ კომპილაციური გარიგების მნიშვნელობა, და დაეხმაროს მათ იყვნენ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში და ამგვარად, გააუმჯობესონ და გააფართოვონ თავიანთი მომსახურება და გააძლიერონ თავიანთი პრაქტიკა.


პირველ რიგში, ეს სახელმძღვანელო მიზნად ისახავს IFAC-ის წევრი ორგანიზაციების და მათი წევრების, განსაკუთრებით SMP-ების, დახმარებას პრაქტიკაში ISRS™ 4410-ის (შესწორებული), *კომპილაციური გარიგება*, დანერგვით, რომელიც არის ერთ-ერთ საერთაშორისო სტანდარტს დაკავშირებული მომსახურების შესახებ™, და რომელიც შემუშავებულია ექსკლუზიურად აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ. სახელმძღვანელოში მოცემულია სათანადო ამონარიდები სტანდარტიდან, სრული სტანდარტი ხელმისაწვდომია: [current IAASB Handbook](#).

პრაქტიკოს-ბუღალტრის შეუძლია გამოიყენოს ეს სახელმძღვანელო, რათა გაეცნოს კომპილაციურ გარიგებას, ანდა გააღრმავოს თავისი ადრე მიღებული ცოდნა ISRS 4410-ის (შესწორებული) შესაბამისად ჩატარებული კომპილაციური გარიგების შესახებ. ეს სახელმძღვანელო მოიცავს განმარტებებს და საილუსტრაციო მაგალითებს, ისევე როგორც მთელ რიგ დანართებს, ძირითადი ჩამონათვალებით და ფორმებით, რომლებიც პრაქტიკოს-ბუღალტრებს შეუძლიათ მოარგონ თავიანთ კონკრეტულ იურისდიქციის მოთხოვნებს და გარემოებებს.

IFAC-მა დაიქირავა კანადის CPA-ის (ნაფიცი პროფესიონალი ბუღალტრები) SMP-ის კომიტეტის წევრი, Dawn McGeachy, რათა შეექმნა ეს სახელმძღვანელო, და სურს მადლობა გადაუხადოს მას გაწეული სამუშაოსთვის. აღნიშნულ პროექტში თავისი წვლილი შეიტანა ასევე SMP კომიტეტის სტანდარტების დანერგვის სახელმძღვანელოს სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა, რომელმაც მოაწოდა ინსტრუქციები და საჭირო ინფორმაცია.

იმისათვის, რომ წევრმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად გამოიყენონ ეს სახელმძღვანელო და მისი მონათესავე გამოცემები, [Guide to Quality Control for Small- and Medium-Sized Practices](#), [Guide to Using International Standards on Auditing in the Audits of Small- and Medium-Sized Entities](#), და [Guide to Review Engagements](#), SMP კომიტეტმა შექმნა [Companion Manual](#) (გზამკვლევი) დამატებით მასალებთან ერთად, რომლებიც განკუთვნილია საგანმანათლებლო და სატრენინგო მიზნებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოების გამოყენების ხელშესაწყობად. აღნიშნული გზამკვლევი მოიცავს რჩევებს, თუ როგორ შეუძლიათ გამოიყენონ ეს სახელმძღვანელოები IFAC-ის წევრმა ორგანიზაციებმა და ფირმებმა, და როგორ მოარგონ თავიანთ საჭიროებებს და იურისდიქციას.

და ბოლოს, ჩვენ ვიწვევთ მკითხველებს ჩვენს საიტზე: [SMP area of the IFAC website](#), ასევე [Global Knowledge Gateway](#), კერძოდ, [Audit & Assurance](#) და [Ethics](#), IFAC SMP კომიტეტის მუშაობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ასევე დამატებითი რესურსებზე და სიახლეებზე წვდომისთვის, დისკუსიებში მონაწილეობისთვის, რათა უფრო ეფექტური და ქმედითი გახდეს SMAs-ის მიერ IAASB სტანდარტების დანერგვა.



Giancarlo Attolini
თავმჯდომარე, IFAC SMP კომიტეტი
სექტემბერი 2015

დისკლამაცია / პასუხისმგებლობაზე უარის თქმა

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია პრაქტიკოს-ბუღალტრებისთვის, ISRS 4410 (შესწორებული) დანერგვაში დახმარების მიზნით, მაგრამ არ არის განკუთვნილი როგორც თავად სტანდარტების ნაცვლად საკითხავი მასალა. უფრო მეტიც, პრაქტიკოს-ბუღალტერმა ეს სახელმძღვანელო უნდა გამოიყენოს როგორც თავისი პროფესიული გადაწყვეტილების ფონზე, ასევე თითოეულ კონკრეტულ კომპილაციურ გარიგებაში მოცემული გარემოებებისა და ფაქტების გათვალისწინებით. IFAC უარს ამბობს ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ამ სახელმძღვანელოს გამოყენების შედეგად.

აღნიშნული სახელმძღვანელო ითარგმნა აზიის განვითარების ბანკის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში.

მთარგმნელი: ნინო ლალიძე

ექსპერტი: ზურაბ მამუკელაშვილი

1

როგორ გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო

ამ თავის შინაარსი

- ამ სახელმძღვანელოს მიზანი და დანიშნულება.
- როგორი არის შინაარსის სტრუქტურა.

1.1 შესავალი	1.2 შინაარსი და სტრუქტურა
1.1-1 ამ სახელმძღვანელოს მიზანი	1.2-1 თავების სტრუქტურა
1.1-2 ამ სახელმძღვანელოს დანიშნულება	1.2-2 ძირითადი გამოყენებული ტერმინები
1.1-3 IFAC-ის რესურსები	

1.1 შესავალი

სავალდებულო აუდიტის პერსპექტივა იცვლება, რადგან ბევრმა იურისდიქციამ დანერგა/განახორციელა აუდიტისგან გათავისუფლება და დაადგინა ზღვრული ლიმიტები. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სამეურნეო ერთეულებს შეიძლება აღარ დასჭირდეთ აუდიტორის მოსაზრება, ეს არ შეამცირებს პროფესიონალი ბუღალტრების (შემდგომში წოდებული როგორც "პრაქტიკოსი-ბუღალტრები") ექსპერტული ცოდნისა და რჩევის საჭიროებას. ამ სიტუაციაში კომპილაციური გარიგება ხდება მიმზიდველი შეთავაზება/მომსახურება.

ეს სახელმძღვანელო ეხება [პრაქტიკოსი-ბუღალტრის](#) (რომელიც არ არის სამეურნეო ერთეულის აუდიტორი) პასუხისმგებლობას, რომელიც დაქირავებულია შესარულოს [გამოყენებადი/მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს/საფუძვლების \(AFRF\)](#) და ISRSTM 4410-ის (შესწორებული), [კომპილაციური გარიგებები](#), (რომელიც არის დაკავშირებული მომსახურებისTM ერთ-ერთი საერთაშორისო სტანდარტი, შექმნილი ექსკლუზიურად აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ) შესაბამისად მომზადებული წინა პერიოდების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების (შემდგომში წოდებული როგორც „ფინანსური ანგარიშგებები“) კომპილაცია. 2011 წლის 1 დეკემბერს IAASB-იმ დაამტკიცა ეს სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის 1 ივლისით ან მის შემდგომი პერიოდით დათარიღებული კომპილაციური გარიგებების ანგარიშგებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო შემუშავებულია AFRF-ის შესაბამისად მომზადებული წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგების კომპილაციისთვის, ფინანსური ინფორმაციის (გარდა წინა პერიოდების ინფორმაციისა) და არა-ფინანსური ინფორმაციის კომპილაციური გარიგებებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ISRS 4410 (შესწორებული) და მოხდეს მისი საჭიროებისამებრ ადაპტირება.

სავარაუდოდ, პრაქტიკოსი-ბუღალტრები, რომლებიც იყენებენ ამ სახელმძღვანელოს, უკვე იცნობენ ISRS 4410-ს (შესწორებული). ამ სახელმძღვანელოში მოცემულია არაოფიციალური მითითებები ISRS 4410-ის (შესწორებული) გამოყენებასთან დაკავშირებით. იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც სტანდარტის ნაცვლად წასაკითხი მასალა, არამედ როგორც დამატებითი/შემაჯავებელი მასალა სტანდარტის თანმიმდევრული დანერგვის მხარდაჭერისთვის. სახელმძღვანელო არ ითვალისწინებს სტანდარტის ყველა ასპექტს და არ უნდა იქნას გამოყენებული ISRS 4410-თან (შესწორებული) შესაბამისობის განსაზღვრის ან დემონსტრირების მიზნით.

1.1-1 ამ სახელმძღვანელოს მიზანი

ამ სახელმძღვანელოს მიზანია უზრუნველყოს:

- პრაქტიკული რჩევები მოთხოვნების გამოყენების შესახებ, როდესაც ტარდება [საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების](#) კომპილაციური გარიგება;
- შემდეგი მაგალითები:
 - კომპილაციური გარიგების ტიპური პროცედურები და პრაქტიკის ზოგიერთი ფიქციური სცენარები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ სცენარებისთვის გათვალისწინებული პასუხები ეფუძნება სცენარში მოცემულ უნიკალურ ფაქტორებსა და გარემოებებს, და პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ [პროფესიული განსჯის/მოსაზრების](#) შესაბამის გამოყენებას;
 - ძირითადი დოკუმენტები, როგორიცაა გარიგების წერილები და ჩამონათვალი (შედის დანართებში);
- გასათვალისწინებელი მითითებები, რომლებიც ეხება:
 - ფაქტებს, რომლებიც ადვილად შეიძლება დარჩეს ყურადღების მიღმა;
 - კონკრეტულ შემთხვევებს/მაგალითებს, როდესაც პრაქტიკოსი-ბუღალტრები ხშირად აწყდებიან სირთულეებს სტანდარტების დანერგვისას;
 - რჩევებს ეფექტურობის გაზრდის შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ამ გარიგებების შესრულებაზე საჭირო დროის დასაზოგად/შესამცირებლად;
 - რჩევებს, რომლებიც დაეხმარება პრაქტიკოს-ბუღალტრს კლიენტებთან კომუნიკაციის დროს და კომპილაციური გარიგების მარკეტინგში.

1.1-2 ამ სახელმძღვანელოს დანიშნულება

ამ სახელმძღვანელოს დანიშნულებაა:

- უზრუნველყოს კომპილაციური გარიგების უფრო ღრმა ცოდნა, როდესაც ის ტარდება ISRS 4410-ის (შესწორებული) შესაბამისად;
- წარმოადგენდეს სამაგიდო წიგნს პერსონალისთვის;
- შეიმუშავოს ფირმის ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს პოლიტიკა/პროცედურები;
- შექმნას ტრენინგ-სესიები და გააუმჯობესოს ინდივიდუალური სწავლება და ჯგუფური დისკუსიები, როგორც ადგილობრივი ფირმის დონეზე, ასევე პროფესიული ორგანიზაციების მიერ მომზადებული/ჩატარებული ტრენინგების საშუალებით; და
- უზრუნველყოს, რომ ფირმის პროფესიონალი თანამშრომლები ავითარებდნენ კომპილაციური გარიგების დაგეგმვისა და ჩატარების თანმიმდევრულ მიდგომას.

1.1-3 IFAC-ის რესურსები

უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, თუ როგორ უჭერს მხარს IFAC მცირე- და საშუალო-ზომის პრაქტიკებს (SMPs), იხილეთ: [IFAC website](#). აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების, პრაქტიკის მენეჯმენტის, ეთიკის, და ბიზნეს რეპორტირების/ანგარიშგების სფეროებში დამატებითი რესურსების მისაღებად, ეწვიეთ: [IFAC Global Knowledge Gateway](#), სადაც თავმოყრილია საბუღალტრო სიახლეები, დისკუსიები, რესურსები, ასევე IFAC-ის, მისი წევრი ორგანიზაციების, და მსოფლიო მასშტაბით სხვა ცნობილი ჯგუფებისა და პიროვნებების წამყვანი მოსაზრებები.

Gateway-ზე ახალი შეთავაზებების, რესურსებისა და სიახლეების შესახებ შეტყობინებების მისაღებად, დარეგისტრირდით: [The Latest](#).

1.2 შინაარსი და სტრუქტურა

ამ სახელმძღვანელოში მოცემულია კომპილაციური გარიგების შესრულების პროცესში შესრულებული ძირითადი ნაბიჯების აღწერა. დანართებში მოცემულია გამოყენებული ტერმინების განმარტება, წერილებისა და ჩამონათვალების ნიმუშები, ასევე პრაქტიკის სხვა დამხმარე საშუალებები.

1.2-1 თავების სტრუქტურა

ამ სახელმძღვანელოს თითოეული თავის სტრუქტურა შემდეგი ფორმატისაა:

- (ა) მიმოხილვის სქემა აჩვენებს, რას ეხება ეს თავი.
- (ბ) ISRS 4410-ის (შესწორებული) შესაბამისი მოთხოვნების პარაგრაფები, რომლებიც გამოიყენება ამ თემაში. (სახელმძღვანელოში მოცემული ამონარიდები ეფუძნება მხოლოდ ავტორის გადაწყვეტილებას, თუ რა არის შესაფერისი თითოეული კონკრეტული თავის შინაარსისთვის).
- (გ) კომენტარები მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- (დ) მოცემულია კონცეფციების მაგალითები.
- (ე) გასათვალისწინებელი მითითებები - პრაქტიკული რჩევები.

1.2-2 ძირითადი გამოყენებული ტერმინები

დანართი 1.2-2.A

AFRF	Applicable financial reporting framework	გამოყენებადი/მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები
CU	Currency units (standard currency unit is referred to as "€")	სავალუტო ერთეული (სტანდარტული სავალუტო ერთეული მოხსენიებულია როგორც "€")
EQCR	Engagement quality control review	გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა
IAASB	International Auditing and Assurance Standards Board	აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
IESBA	International Ethics Standards Board for Accountants	ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
IESBA Code	IESBA Code of Ethics for Professional Accountants	IESBA-ს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი
IFAC	International Federation of Accountants	ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
IFRS	International Financial Reporting Standards	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
ISA	International Standard on Auditing	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი
ISQC 1	International Standard on Quality Control 1	ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი 1
ISRE	International Standard on Review Engagements	მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი
ISRS	International Standards on Related Services	დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები
IT	Information technology	საინფორმაციო ტექნოლოგია
SME	Small- and medium-sized entity	მცირე- და საშუალო-ზომის სამეურნეო ერთეული
SMP	Small- and medium-sized (accounting) practice	მცირე- და საშუალო-ზომის (საბუღალტრო) პრაქტიკა
TCWG	Those charged with governance	მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები
W/P	Working paper	სამუშაო დოკუმენტები/დოკუმენტაცია

2

რა არის კომპილაციური გარიგება?

ამ თავის შინაარსი

- რა ტიპის სამუშაოს მოიცავს კომპილაციური გარიგება.
- კომპილაციური გარიგების დანიშნულება და პრივილეგიები.
- კომპილაციური გარიგების გამოყენების სფერო და მიზანი.
- რით განსხვავდება კომპილაციური გარიგება აუდიტის გარიგებისგან, მიმოხილვის გარიგებისგან, ან შეთანხმებული პროცედურების გარიგებისგან.


2.1 კომპონენტები	2.2 დანიშნულება და პრივილეგიები	2.3 საფუძვლები
2.1-1 ოთხი კომპონენტი 2.1-2 პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიში 2.1-3 ძალაში შესვლის თარიღი	2.2-1 დანიშნულება 2.2-2 პრივილეგიები 2.2-3 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ გამოყენება	2.3-1 ISRS 4410-ის (შესწორებული) გამოყენების სფერო 2.3-2 გარიგების მიზნები 2.3-3 აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციის და შეთანხმებული პროცედურების შედარება 2.3-4 სხვა განსხვავება გარიგებებს შორის 2.3-5 რა ნაბიჯებს მოიცავს კომპილაციური გარიგების შესრულება

2.1 კომპონენტები

2.1-1 ოთხი კომპონენტი

შემდეგი დანართი ასახავს კომპილაციური გარიგების ოთხ ძირითად კომპონენტს. ამ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში უფრო დეტალურადაა მოცემული თითოეული ეს კომპონენტი.

დანართი 2.1-1A



დამატებითი ინფორმაცია ძირითადი ნაბიჯების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ დანართში 2.3-5A.

2.1-2 პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიში

წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგებების კომპილაციის საფუძველზე, AFRF-ის (როგორიცაა, SME-ების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები [IFRS]) შესაბამისად მომზადებული პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშის სტანდარტული ფორმულირება მოცემულია შემდეგ დანართში.

¹ პროცესი, რომელიც არსებობს სამეურნეო ერთეულის შიგნით, ხელმძღვანელობის ან TCWG-ის მიერ მოწოდებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებისთვის, პრაქტიკოსი-ბუღალტრისთვის არის რელევანტური მოსაზრება კომპილაციური გარიგებების შესასრულებლად. ფინანსური ანგარიშგებების ხასიათისა და მიზნის გათვალისწინებით, შეიძლება არსებობდეს დადგენილი დამტკიცების პროცესი, რომელიც მოითხოვს ან რომელიც კანონით არის დადგენილი, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და დასრულებისთვის.

პრაქტიკოსი-ბუღალტრის კომპილაციური ანგარიში

[სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელობას]

ჩვენ გავაკეთეთ [სამეურნეო ერთეულის სახელი]-ის თანდართული ფინანსური ანგარიშგებების კომპილაცია, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც თქვენ მოგვაწოდეთ. ეს ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს [სამეურნეო ერთეულის სახელი]-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას [20XX წლის 31 დეკემბრის] მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააქციო კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას წლის დასასრულისთვის, ასევე მნიშვნელოვან საბუღალტრო პოლიტიკის დასკვნებს და სხვა ახსნა-განმარტებებით ინფორმაციას.

ჩვენ შევასრულეთ კომპილაციური გარიგება დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის 4410-ის (შესწორებული), *კომპილაციური გარიგებები*, შესაბამისად.

მცირე- და საშუალო-ზომის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (SME-ების IFRS) შესაბამისად ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში და წარდგენაში თქვენს დასახმარებლად, ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროში ჩვენი გამოცდილება და კომპეტენცია. ჩვენ დავიცავით [შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები](#), მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე და მათი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორეზე და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

რამდენადაც კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ მოგვეთხოვება, ფინანსური ანგარიშგებების კომპილირებისთვის გამოყენებული ინფორმაციის, რომელიც თქვენს მიერ იქნა მოწოდებული, სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული SME-ების IFRS-ის შესაბამისად.

[პრაქტიკოსი-ბუღალტრის ხელმოწერა]

[პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშის თარიღი]

[პრაქტიკოსი-ბუღალტრის მისამართი]

[დანართი ე](#)-ში მოცემულია პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშის დამატებითი ნიმუში, რომელიც გამოიყენება სპეციალური მიზნისთვის მომზადებული კომპილაციური გარიგებისთვის (მაგ: მარეგულირებლის მიერ დადგენილ ფინანსურ ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობა).

2.1-3 ძალაში შესვლის თარიღი

ISRS 4410 (შესწორებული) ძალაში შედის ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის იმ ანგარიშებისთვის, რომლებიც 2013 წლის 1 ივლისით ან შემდგომი პერიოდით არის დათარიღებული.

2.2 დანიშნულება და პრივილეგიები

2.2-1 დანიშნულება

კომპილაციური გარიგების ზოგიერთი შესაძლო დანიშნულება/გამოყენება მოცემულია შემდეგ დანართში.

დანართი 2.2-1A

კომპილაციური გარიგება შეიძლება გამოყენებული იქნას:	
1.	როდესაც საჭიროა პრაქტიკოსი-ბუღალტრის გამოცდილება/კომპეტენცია, რათა გააკეთოს ფინანსური ანგარიშგებების კომპილაცია, მაგრამ მომხმარებლებს არ სჭირდებათ რაიმე სახის გარანტია/რწმუნება ფინანსურ ანგარიშგებებზე. რადგანაც ფინანსური ანგარიშგება მოითხოვს განსჯას/მსჯელობას და შეფასებას, ხელმძღვანელობამ შეიძლება ისარგებლოს პრაქტიკოსი-ბუღალტრის დახმარებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას.
2.	როდესაც ხელმძღვანელობა მოითხოვს კომპილირებული ფინანსური ანგარიშგებების ანგარიშს შიდა მიზნებისთვის და არ არსებობს გარე მომხმარებლები (როგორცაა კრედიტორები, სადაზღვევო კომპანია ან მომხმარებლები).
3.	როდესაც ფინანსური ანგარიშგებების მიზანია, მათი სხვა გარიგებებში გამოყენება, როგორცაა ფინანსური დაგეგმარება, საგადასახადო დაგეგმარება ან საგადასახადო ანგარიშგების მომსახურება.
4.	სავაჭრო გარიგების მიზნებისთვის, მაგალითად, ფინანსური ანგარიშგებები საჭიროა სავაჭრო გარიგების მხარდასაჭერად, რომელიც მოიცავს სამეურნეო ერთეულის მესაკუთრის ან ფინანსური სტრუქტურის ცვლილებას (მაგ. შერწყმის ან შეძენის დროს).
5.	შუალედური ფინანსური ანგარიშგებების კომპილირებისთვის, რომლებიც ექვემდებარება მიმოხილვის ან აუდიტის გარიგებას.

გასათვალისწინებელი მითითება

დანართი 2.2-1A -ში ჩანს და დასტურდება კომპილაციური გარიგების ბევრი კომერციული/გასაღების მახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, სტანდარტი მოითხოვს, რომ გარიგების პროცესში პრაქტიკოსი-ბუღალტერმა გამოიყენოს პროფესიული გამოცდილება/კომპეტენცია. ეს გამოცდილება/კომპეტენცია, ასევე პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიმართ წაყენებული ეთიკური მოთხოვნები, და ჩარჩოს/საფუძვლების გამოყენების მოქნილობა, რომელიც მეტად მოხერხებულია ინფორმაციის მომხმარებელთათვის, ამ ტიპის გარიგებას უკიდურესად მიმზიდველს ხდის.

2.2-2 პრივილეგიები

კომპილაციური გარიგების ზოგიერთი პრივილეგია ჩამოყალიბებულია შემდეგ დანართში.

დანართი 2.2-2A

პრივილეგია	აღწერა
რენტაბელური	როდესაც პრაქტიკოსი-ბუღალტრისგან არანაირი რწმუნება არ მოითხოვება ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, კომპილაციური გარიგების არჩევა დაზოგავს დროს და თანხებს, და ინდივიდუალური კლიენტის გარემოებებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება მოიცავდეს შედარებით ნაკლებ შრომას, ვიდრე მიმოხილვა, და მნიშვნელოვნად ნაკლებ შრომას, ვიდრე აუდიტი.
მოქნილი და მიზანმიმართული გარიგება	კომპილაცია ეფუძნება ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში პრაქტიკოსი-ბუღალტრის გამოცდილებას/კომპეტენციას, რასაც გააჩნია პრივილეგია კლიენტისთვის, რომელიც ეყრდნობა იმას, რომ პრაქტიკოსი-ბუღალტერი დაიცავს პროფესიულ სტანდარტებს და ეთიკურ მოთხოვნებს. მაგალითად, პრაქტიკოსი-ბუღალტერი შეიძლება შეგნებულად არ იყოს დაკავშირებული ანგარიშებთან, ამონაგებთან, მიმოწერებთან ან სხვა ინფორმაციასთან, სადაც პრაქტიკოსი-ბუღალტერს მიაჩნია, რომ ინფორმაცია შეიცავს არსებითად ცრუ/ყალბ ან დამაზნეველ მტკიცებას/ჩვენებას; ანგარიშგებები ან ინფორმაცია წარმოდგენილია დაუდევრად; გამოტოვებულია ან გაურკვეველია ინფორმაცია იქ, სადაც მისი გამოტოვება ან გაურკვევლობა შეცდომაში შეყვანას გამოიწვევს. ეს პრივილეგიები და ის ფაქტი, რომ პრაქტიკოსი-ბუღალტერი დამოუკიდებელია ორგანიზაციისგან, წარმოადგენს კლიენტებისთვის მიმზიდველ და რენტაბელურ არჩევანს. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ დამოუკიდებლობის მოთხოვნა, რომელიც მოცემულია IESBA-ის კოდექსის „ბ“ ნაწილის 290-ე სექციაში, <i>დამოუკიდებლობა - აუდიტი და მარწმუნებელი გარიგებები</i> , და 291-ე სექციაში, <i>დამოუკიდებლობა - სხვა მარწმუნებელი გარიგებები</i> , არ ვრცელდება კომპილაციურ გარიგებებზე.

2.2-3 რომელი გარიგება შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა მომხმარებელს

როდესაც პრაქტიკოს-ბუღალტრებს სთხოვენ, დახმარება გაუწიონ ხელმძღვანელობას ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მათ უნდა გაითვალისწინონ, არის თუ არა კომპილაცია ყველაზე მისაღები და ადეკვატური გარიგება ISRS 4410-ის (შესწორებული) შესაბამისად. ამის დასადგენად აუცილებელი იქნება კლიენტთან კონსულტაციები, ისევე როგორც პროფესიული განსჯის/მოსაზრების გამოყენება, და ადგილობრივი კანონებისა და რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინება.

დანართი 2.2-3A

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები	შესაფერისი გარიგება
დაინტერესებული მხარეები კოტირებულ (ანუ საჯარო) ან საჯაროდ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულში (ანუ საზოგადოებრივი დაინტერესების პირი).	აუდიტი (როგორც წესი, კანონით ან რეგულაციებით განსაზღვრული).
სამეურნეო ერთეული გეგმავს ზრდას, ასევე ახალი დაინტერესებული მხარეებისა და ფინანსების მოზიდვას.	აუდიტი, მიმოხილვა, ან შეთანხმებული პროცედურები, რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, მათ შორის ზრდის სიჩქარე და როდის (რამდენად მალე) იქნება მიღწეული სავალდებულო აუდიტის ქვედა ზღვარი.
მესამე-მხარის წევრები ან დაინტერესებული მხარეები სამეურნეო ერთეულში, რომელიც გათავისუფლებულია სავალდებულო აუდიტისგან.	აუდიტი ან მიმოხილვა, გააჩნია რა რწმუნება სჭირდება დაინტერესებულ მხარეებს.
ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც სავალდებულო აუდიტისგან გათავისუფლებულ სამეურნეო ერთეულს სესხად აძლევს თანხას.	საკმარისი იქნება აუდიტი, მიმოხილვა ან შეთანხმებული პროცედურები.
ოჯახის წევრები, ან რამდენიმე ახლო მეგობარი, რომლებსაც აქვთ წილი სავალდებულო აუდიტისგან გათავისუფლებულ სამეურნეო ერთეულში.	საკმარისი იქნება აუდიტი, შეთანხმებული პროცედურები (მაგ. შერჩეულ ნაშთებზე) ან კომპილაცია.
მმართველი წევრები მხოლოდ შიდა გამოყენებისთვის ან მარეგულირებელ ორგანოებში წარსადგენი დოკუმენტებისთვის (მაგ. საგადასახადო დეკლარაცია ან სხვა მოთხოვნილი ნორმატიული დოკუმენტები).	კომპილაცია ან მიმოხილვა, იმის მიხედვით, თუ რამდენად აუცილებელია რაიმე სახის რწმუნება.

2.3 საფუძვლები

SMP-ებისთვის, ISRS 4410 (შესწორებული) იძლევა შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს კომპილაციური გარიგების მომსახურებაზე არსებული მზარდი მოთხოვნები, წარმოქმნილი ისეთი ფაქტორებისგან, როგორიცაა:

- მცირე- და საშუალო-ზომის საწარმოებისთვის უმაღლესი აუდიტისგან გათავისუფლების ტენდენცია.
- მცირე- და საშუალო-ზომის საწარმოებისთვის რაღაც დონეზე გარე წყაროების მიერ მომზადებული ანგარიშგების სურვილი.
- მომხმარებელთა მოთხოვნები, რომლებსაც სჭირდება პრაქტიკოსი-ბუღალტრის პროფესიული გამოცდილება/კომპეტენცია, რაც დაეხმარება მათ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გაზრდილი სირთულიდან გამომდინარე.

2.3-1 ISRS 4410-ის (შესწორებული) გამოყენების სფერო

ISRS 4410-ში (შესწორებული) განხილულია:

- პრაქტიკოსი-ბუღალტრის ვალდებულებები, როდესაც იგი დაქირავებულია, რათა დაეხმაროს ხელმძღვანელობას წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, ამ ინფორმაციაზე რაიმე რწმუნების მიღების გარეშე; და
- ფინანსურ ანგარიშგებებზე პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშის ფორმა და შინაარსი, როდესაც ანგარიში კეთდება ISRS 4410-ის (შესწორებული) შესაბამისად.

ISRS 4410 (შესწორებული) ეხება წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგების კომპილაციურ გარიგებებს. ISRS 4410 (შესწორებული) შეიძლება ასევე გამოყენებული და საჭიროებისამებრ ადაპტირებული იქნას, ფინანსური ინფორმაციის (რომელიც არ არის წინა პერიოდების ფინანსური ინფორმაცია) კომპილაციური გარიგებისთვის (როგორიცაა, პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია ან სამომავლო/მოსალონდელი ფინანსური ინფორმაცია, მათ შორის ხარჯთაღრიცხვა ან პროგნოზირება), ასევე არა-ფინანსური ინფორმაციის კომპილაციური გარიგებისთვის. ეს სახელმძღვანელო კონცენტრირებულია ყველაზე გავრცელებულ კომპილაციური გარიგების მომსახურებაზე - საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე.


პარაგრაფი	მოთხოვნა
16	ISRS-ის მიხედვით კომპილაციურ გარიგებაში პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიზნებია: (ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროში საკუთარი გამოცდილების/კომპეტენციის გამოყენება, რათა დაეხმაროს ხელმძღვანელობას, მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და გამოყენებადი/მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს/საფუძვლების შესაბამისად, ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაში; და (ბ) წარადგინოს ანგარიში ISRS-ის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპილაცია არის არა-მარწმუნებელი გარიგება. სტანდარტში კომპილაცია განსაზღვრულია შემდეგნაირად:

... გარიგება, რომლის დროსაც პრაქტიკოსი-ბუღალტერი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროში საკუთარ გამოცდილებას/კომპეტენციას, რათა დაეხმაროს ხელმძღვანელობას საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაში გამოყენებადი/მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს/საფუძვლების შესაბამისად, და ანგარიშს წარადგენს ISRS-ის მოთხოვნების შესაბამისად

კომპილაციურ გარიგებაში მონაწილეობს სამი ძირითადი მხარე, როგორც ნაჩვენებია შემდეგ დანართში.

დანართი 2.3-2A



დანართი 2.3-2B

მხარე	როლის აღწერა
ხელმძღვანელობა და TCWG	AFRF-ის (როგორცაა SME-ების IFRS) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და წარდგენა (მათ შორის, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გონივრული სააღრიცხვო შეფასების გაკეთება) არის ხელმძღვანელობის/TCWG-ის პასუხისმგებლობა. გარიგების პროცესში პრაქტიკოს-ბუღალტრის შეუძლია დაეხმაროს ხელმძღვანელობას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებით, მაგრამ ეს არ ამცირებს ხელმძღვანელობის/TCWG-ის პასუხისმგებლობას ფინანსურ ანგარიშგებებზე. ²
პრაქტიკოსი-ბუღალტერი	ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაში ხელმძღვანელობის დახმარება, პრაქტიკოსი-ბუღალტერი ახდენს ფინანსური ანგარიშგებების კომპილირებას ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი/მოწოდებული ჩანაწერების, დოკუმენტების, განმარტებებისა, და სხვა ინფორმაციის, მათ შორის, მნიშვნელოვანი განსჯების/მოსაზრებების, გამოყენებით. პრაქტიკოსი-ბუღალტერი ასევე განიხილავს ხელმძღვანელობასთან/TCWG-სთან ნებისმიერ მნიშვნელოვან განსჯას/მოსაზრებას, რისთვისაც მას სთხოვს დახმარება. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოს-ბუღალტერმა არ იცის, რომ მიღებული ინფორმაცია არის არასრული, არასწორი ან სხვაგვარად არადაზუსტებული, მას შეუძლია მოამზადოს ანგარიში (უნდა დაერთოს ფინანსურ ანგარიშგებებს) და მიუთითოს/განაცხადოს/მიანიშნოს: ა) ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა და წარმოდგენილია ... სათანადო AFRF-ის შესაბამისად; და ბ) კომპილაციურ გარიგებაში, პრაქტიკოს-ბუღალტერს არ მოეთხოვება ინფორმაციის სისწორის ან სისრულის გადამოწმება/დადასტურება, და რომ არ არის გამოთქმული აუდიტორის მოსაზრება, არც მიმოხილვის დასკვნაა გაკეთებული.

² მცირე საწარმოებში, ხელმძღვანელობა ან TCWG შეიძლება არ იყოს კარგად ინფორმირებული იმასთან დაკავშირებით, თუ რა პასუხისმგებლობებია ეს, მათ შორის, რომლებიც გამომდინარეობს მოქმედი კანონებისა და რეგულაციებიდან. ხელმძღვანელობის მხრიდან თანხმობის მისაღებად, ინფორმირებული წესით, პრაქტიკოსმა-ბუღალტერმა შეიძლება, საჭიროდ ჩათვალოს ხელმძღვანელობასთან ამ პასუხისმგებლობების განხილვა, მათი მხრიდან ამ პასუხისმგებლობაზე თანხმობის მიღებამდე.

მხარე	როლის აღწერა
მომხმარებლები	ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლები, სავარაუდოდ, პრაქტიკოს-ბუღალტრებს უკავშირებენ ფინანსურ ანგარიშგებებს. ამდენად, არსებობს რისკი იმისა, რომ ინფორმაციასთან დაკავშირებით პრაქტიკოსი-ბუღალტრის ჩართულობის დონე შეიძლება არასწორად იყოს აღქმული. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკოსი-ბუღალტრის ეთიკურ მოთხოვნებს, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის და სათანადო გულისხმიერების პრინციპებს. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაზე AFRF-ის შესაბამისად, რომელიც მისაღება იმ მხარეთათვის, იქნება ეს საწარმოს შიდა თუ გარე მხარე, რომლებიც წარმოადგენენ (სავარაუდოდ) მომხმარებლებს.

ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები (TCWG)

მცირე საწარმოებში, ხშირად, ერთმანეთისგან არ არის გამოიჯნული ხელმძღვანელობის როლი და TCWG. ზოგიერთ იურისდიქციაში ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე პასუხისმგებლობა არის TCWG-ის იურიდიული პასუხისმგებლობა, ხოლო სხვა იურისდიქციებში - ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა. მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტი აცნობიერებდეს: ფინანსური ანგარიშგებები უნდა იყოს შესაბამისი და მისაღები (სავარაუდოდ) მომხმარებლების თვალსაზრისით. გარდა ამისა, კლიენტმა უნდა აღიაროს თავისი პასუხისმგებლობა ჩანაწერების, დოკუმენტების და მის მიერ მოწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე. ეს მოიცავს ნებისმიერ განსჯას/მოსაზრებას, რომელიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენისთვის.

2.3-3 აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციის და შეთანხმებული პროცედურების შედარება

შემდეგ გრაფიკში შეჯამებულია აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციისა და შეთანხმებულ პროცედურებს შორის არსებული ზოგიერთი შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავებები.

დანართი 2.3-3A

გარიგება	სტანდარტები	რწმუნება	სამუშაოს მოცულობა	ანგარიში
აუდიტი	ISA (ასს)	დასაბუთებული	რისკების შეფასება და პროცედურები, რომლებიც რეაგირებენ იდენტიფიცირებულ რისკებზე	მოსაზრება (დადებითი რწმუნება)
მიმოხილვა	ISRE 2400 (შესწორებული)	შეზღუდული	წინასწარი მოკვლევა და ანალიტიკური პროცედურები	დასკვნა (უარყოფითი რწმუნება)
კომპილაცია	ISRS 4410 (შესწორებული)	არანაირი	ფინანსური ინფორმაციის მომზადებაში ხელმძღვანელობისთვის დახმარების გაწევა	ანგარიში, სადაც დადასტურებულია აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცდილების/კომპეტენციის ქონა, რომელიც გამოყენებული იქნა მომზადებასა და წარდგენაში, ასევე შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვა (არანაირი რწმუნება)
შეთანხმებული პროცედურები	ISRS 4400	არანაირი	მტკიცებულება, მიღებული მონაცემების მხარდასაჭერად	ვიწრო წრეზე გათვლილი ანგარიში (ვაქტიურად მიღებული მონაცემები)

კომპილაციურ გარიგებაში პრაქტიკოსი-ბუღალტრის პასუხისმგებლობა (და საბოლოო ანგარიში) მნიშვნელოვნად განსხვავებულია, ვიდრე აუდიტის, მიმოხილვის ან შეთანხმებული პროცედურების გარიგების დროს, და ნდობის დონეც, რასაც მომხმარებლები მოელიან შესაბამისი პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშიდან გამომდინარე, განსხვავებულია.

რადგანაც კომპილაციური გარიგება გულისხმობს ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაში დახმარებას, და არ არის მარწმუნებელი გარიგება, ამიტომ პრაქტიკოს-ბუღალტრს არ სჭირდება ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის შემოწმება. ასევე არ სჭირდება პრაქტიკოს-ბუღალტრს შეაგროვოს მტკიცებულებები, რათა გამოთქვას აუდიტორის მოსაზრება ანდა გააკეთოს მიმოხილვის დასკვნა.

2.3-4 სხვა განსხვავებები გარიგებებს შორის

შემდეგ გრაფიკში შეჯამებულია აუდიტს, მიმოხილვას, კომპილაციასა და შეთანხმებულ პროცედურებს შორის არსებული ზოგიერთი შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავებები.

დანართი 2.3-4A

	აუდიტი	მიმოხილვა	კომპილაცია	შეთანხმებული პროცედურები
დამოუკიდებლობა აუდიტზელია?	დიახ	დიახ	არა ³	არა ⁴
არსებითობის რომელი კალკულაციები მოითხოვება?	- ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში - საქმიანობის მაჩვენებლების არსებითობა	ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში	გამოთვლა არ მოითხოვება, მაგრამ გათვალისწინებულია AFRF-ის კონტექსტში	არა
გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა მოითხოვება?	კოტირებული საწარმოები და როგორც დადგენილია ფირმის პოლიტიკაში	როგორც დადგენილია ფირმის პოლიტიკაში	როგორც დადგენილია ფირმის პოლიტიკაში	როგორც დადგენილია ფირმის პოლიტიკაში
სამეურნეო ერთეული საკმარისად შესწავლილია?	საკმარისია არსებითი უზუსტობის რისკის გამოსავლენად და შესაფასებლად ფინანსური ანგარიშგების და მტკიცების დონეზე	საკმარისია ფინანსურ ანგარიშგებებში იმ სფეროების გამოსავლენად, სადაც საკმარისად წარმოიქმნება არსებითი უზუსტობები	საკმარისია მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგებების კომპილირებისთვის	საკმარისია საჭირო პროცედურების შესასრულებლად
რომელი პროცედურები უნდა შემუშავდეს?	დაგეგმეთ და შეასრულეთ საკმარისი პროცედურები, რათა მისაღებ (დაბალ) დონემდე შემცირდეს არსებითი უზუსტობის რისკი ფინანსურ ანგარიშგებებში	- განიხილეთ ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებებში, მათ შორის გასაჯაროებული ინფორმაცია - ფოკუსირება მოახდინეთ ფინანსური ანგარიშგების იმ სფეროებზე, სადაც საკმარისად არსებითი უზუსტობები წარმოიქმნება	საკმარისია მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგებების კომპილირებისთვის	საკმარისია, რათა მოპოვებული მტკიცებულებები გამოყენებული იქნას ანგარიშის საფუძველად.
რომელია აუდიტზელი პროცედურები?	- რისკის შეფასება - კონტროლის ტესტი⁵ - ანალიტიკური - ძირითადი	- გამოკვლევა და ანალიტიკური პროცედურები - დამატებითი პროცედურები გარემოებიდან გამომდინარე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
რა მარწმუნებელი მტკიცებულება უნდა იქნეს მიღებული?	საკმარისი და შესაბამისი, რათა ფინანსურ ანგარიშგებებზე გაკეთდეს დასაბუთებული დასკვნები	საკმარისი შესაბამისი მტკიცებულება, როგორც დასკვნის საფუძველი ფინანსურ ანგარიშგებებზე მთლიანობაში	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
რა უნდა გაკეთდეს გაუკორექტირებელ უზუსტობებთან დაკავშირებით?	შეგროვოს, შეაფასოს და მოითხოვოს კორექტირება ხელმძღვანელობის მიერ	შეგროვოს, შეაფასოს და მოითხოვოს კორექტირება ხელმძღვანელობის მიერ	შესწორებები, როგორც ფინანსური ანგარიშგებების კომპილირების ნაწილი	არ არის მითითებული

³ თუ ქვეყნის ადგილობრივ წესებს არ აქვს განსხვავებული მოთხოვნები. გარდა ამისა, პრაქტიკოს-ბუღალტერს კვლავ მოეთხოვება შეასრულოს და მიუღვას სამუშაოს ობიექტურად.

⁴ თუ ქვეყნის ეროვნულ წესებს არ აქვს განსხვავებული მოთხოვნები. გარდა ამისა, სადაც აუდიტორი არ არის დამოუკიდებელი, ამ ფაქტის შესახებ განცხადება უნდა გაკეთდეს ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიშში.

⁵ საჭიროა მხოლოდ, როდესაც რისკის შეფასებაში მოცემულია მხოლოდინი, რომ კონტროლის მექანიზმი ეფექტურად მუშაობს, ან როდესაც მხოლოდ ძირითადი პროცედურები ვერ უზრუნველყოფს საკმარის შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას.


დანართში დეტალურადაა წარმოდგენილი კომპილაციური გარიგების შესრულების პროცესში გასავლელი ეტაპები და მითითებულია, სახელმძღვანელოში რომელ თავშია თითოეული ეტაპი განხილული.

დანართი 2.3-5A

პირითადი ეტაპები	შესაბამისი თავები სახელმძღვანელოში
ა) განსაზღვრეთ, რამდენად მისაღებია გარიგება და კლიენტთან ურთიერთობა.	თავი 3 (სექცია 3.2)
ბ) შეისწავლეთ სამეურნეო ერთეულის საქმიანობა და ოპერაციები.	თავი 4 (სექცია 4.3)
გ) ფინანსური ანგარიშგებების კომპილირება და ხელმძღვანელობასთან ან TCWG-თან იმ მნიშვნელოვანი განსჯების/მოსაზრებების განხილვა, რისთვისაც პრაქტიკოსი-ბუღალტერი უწევს დახმარებას ფინანსური ანგარიშგებების კომპილირებაში.	თავი 5 (სექცია 5.1 და 5.2)
დ) ანგარიშის მომზადება/გაცემა.	თავი 6

3

მიღება



ამ თავის შინაარსი

- კომპილაციური გარიგების მიღებამდე ან გაგრძელებამდე განხილული უნდა იქნას ძირითადი მოთხოვნები.

3.1 ფირმა მზად არის?	3.2 შესაძლებელია გარიგების მიღება ან გაგრძელება?	3.3 გარიგების პირობების შეთანხმება
3.1-1 ISRS 4410 (შესწორებული) 3.1-2 ეთიკური მოთხოვნები 3.1-3 პროფესიული განსჯა 3.1-4 კომპეტენცია 3.1-5 ხარისხის კონტროლი	3.2-1 მიზანი 3.2-2 გარიგების კანონზომიერება	3.3-1 ფინანსური ანგარიშგების მისაღები ჩარჩო/საფუძვლები 3.3-2 გარიგების პირობების შეთანხმება 3.3-3 სხვა საკითხები, რომლებიც შეტანილი უნდა იყოს გარიგების წერილში

შედეგი

ფირმას აქვს აუცილებელი კომპეტენციები, ასევე შემუშავებული და დანერგილი აქვს ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც შეესაბამება კომპილაციურ გარიგებებს.

სამუშაოს დაწყებამდე, ფირმამ მიიღო ხელმოწერილი გარიგების წერილი ან სხვა შესაფერისი წერილობითი შეთანხმება.

3.1 ფირმა მზად არის?

კომპილაციური გარიგების მიღებამდე და შესრულებამდე ფირმამ უნდა განიხილოს და მოაგვაროს ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები.

3.1-1 ISRS 4410 (შესწორებული)

პარაგრაფი	მოთხოვნა
18	პრაქტიკოს-ბუღალტერმა თავიდან ბოლომდე უნდა იცოდეს ISRS, ასევე მათი გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალები, რათა ესმოდეს მათი მიზნები/ამოცანები და შესაბამისად შესასრულოს/დაიცვას მათი მოთხოვნები.
19	პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა შეასრულოს ISRS-ის თითოეული მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული მოთხოვნა არ შეესაბამება კომპილაციურ გარიგებას, მაგალითად, როდესაც მოთხოვნებში მითითებული გარემოებები არ არსებობს აღნიშნულ გარიგებაში.
20	პრაქტიკოს-ბუღალტერმა არ უნდა ჩათვალოს ISRS-ის მოთხოვნები შესრულებულად, თუ მან არ შეასრულა ISRS-ის ყველა მოთხოვნა, რომლებიც უკავშირდება კომპილაციურ გარიგებას.

კომპილაციური გარიგების შესრულებისას, პირველ რიგში, უნდა დარწმუნდეთ, რომ **გარიგების გუნდის** თითოეულმა წევრმა საკმარისად კარგად იცის სტანდარტი და მისი მოთხოვნები, რომლებიც ეხება მათ როლს ამ გარიგებაში. ამ ცოდნას ასევე შეიძლება დაემატოს ამ სახელმძღვანელოში მოცემული და შესაბამის ტრენინგებზე მიღებული პრაქტიკული მითითებები. არსებობს რა ISRS 4410-ში (შესწორებული) ფორმულირებული მოთხოვნები, პრაქტიკულად, ამ ტიპის გარიგებებში შედარებით მარტივი შესასრულებელია და გააჩნია გაცილებით მცირე შეზღუდვები, ვიდრე მარწმუნებელ გარიგებას. აქედან გამომდინარე, კომპილაციური გარიგების შეთავაზება თანაბრად მიმზიდველია როგორც პრაქტიკოსი-ბუღალტრებისთვის, ასევე კლიენტებისთვის.

3.1-2 ეთიკური მოთხოვნები

პარაგრაფი	მოთხოვნა
21	პრაქტიკოსმა-ბუღალტერმა უნდა დაიცვას შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები (იხ: პარაგრაფი A19–A21)

შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები არის ეთიკური მოთხოვნები, რომელსაც ემორჩილება/ექვემდებარება გარიგების გუნდი კომპილაციური გარიგების შესრულებისას (მათ შორის პატიოსნება, ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება, კონფიდენციალობა და პროფესიული ქცევა). ჩვეულებრივ, ეს მოთხოვნები მოიცავს IESBA კოდექსის „ა“ და „ბ“ ნაწილებს ეროვნულ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც შეიძლება უფრო რესტრიქტიული/შეზღუდული იყოს.

უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: IESBA-ის ვებგვერდი — www.ethicsboard.org — სადაც თქვენ ნახავთ *Handbook of the Code of Ethics for Professional Accountants* -ის (პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო) უახლეს ვერსიას.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფირმა და მისი პერსონალი მუდმივად იცავს ეთიკურ მოთხოვნებს, ფირმამ უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შეტანილი იქნება ფირმის ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში ან მის მსგავს თანაბარმნიშვნელოვან სახელმძღვანელოში.

გასათვალისწინებელი მითითება

ზოგიერთ იურისდიქციაში შეიძლება იყოს მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც განსხვავდება IESBA კოდექსში მოცემული მოთხოვნებისგან. ამ იურისდიქციებში, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა იცოდეს ეს განსხვავებები და დაიცვას *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელოს* უფრო მკაცრი (მაგრამ არა ნაკლებად მკაცრი) მოთხოვნები და მითითებები, თუ კანონით ან რეგულაციებით არ არის აკრძალული.

პარაგრაფი	მოთხოვნა
22	კომპილაციური გარიგების შესრულებისას პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა განახორციელოს პროფესიული განსჯა/მოსაზრება. (იხ: პარაგრაფი A22-A24)

პროფესიული განსჯა/მოსაზრება გულისხმობს, საქმიანობის პროცესში სათანადო მომზადების, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას (მარწმუნებელი, ბუღალტრული აღრიცხვის და ეთიკური სტანდარტებით განპირობებულ/გათვალისწინებულ კონტექსტში/სიტუაციაში) საფუძვლიანი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ ვითარებაში. პროფესიული განსჯა/მოსაზრება ასევე მოითხოვს, პრაქტიკოს-ბუღალტერმა გამოიყენოს თავისი მომზადება/სწავლა, ცოდნა და გამოცდილება კონკრეტული გარიგების წინასწარ ცნობილი ფაქტებისა და გარემოებების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში, სხვებისგან მიღებული შესაბამისი კონსულტაციები დაეხმარება, დარწმუნდეს, რომ მართებული/სათანადო გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

დანართი 3.1-3A

პროფესიული განსჯის/მოსაზრების გამოყენების მაგალითები	ფინანსურ ანგარიშგებებში უზუსტობების განხილვა, რომლებიც შეიძლება არსებითი იყოს AFRF-ის კონტექსტში.
	წარული გამოცდილების (კომპილაციური გარიგებების შესრულებისას) და სამეურნეო ერთეულის საქმიანობისა და ოპერაციების შესახებ (შესწავლის შედეგად მიღებული) ცოდნის გამოყენება, რათა დადგინდეს, რომელი მოკვლევები ან პროცედურები არის მართებული ფინანსური ანგარიშგებების ფარგლებში/შიგნით ინფორმაციის წარდგენასთან და/ან გასაჯაროებასთან დაკავშირებით.
	მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით იმის დადგენა, არის თუ არა კომპილირებული ინფორმაცია დამაბნეველი/შეცდომაში შეყვანი.
	პროფესიული განსჯის/მოსაზრების გამოყენება, თანმდევი გარემოებების გათვალისწინებით, რათა დადგინდეს, რა შესწორებები/ცვლილებები არის საჭირო, როდესაც მიღებული ინფორმაცია არასრული, არასწორი ან სხვაგვარად არადაამაკმაყოფილებელია.
	სამეურნეო ერთეულის AFRF-ის სათანადო გამოყენების დადგენა, რათა გავიგოთ, რომელი ინფორმაციის გასაჯაროება მოითხოვება ფინანსურ ანგარიშგებებში.
	პროფესიული გამოცდილების გამოყენება, რათა მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შევადგინოთ გარიგების შესაბამისი ანგარიში.

3.1-4 კომპეტენცია

პარაგრაფი	მოთხოვნა
23 (ა)	გარიგების პარტნიორი ვალდებულია პასუხისმგებლობა აიღოს თითოეული კომპილაციური გარიგების საერთო ხარისხზე, რომელზეც დანიშნულია ეს პარტნიორი.
23 (ბ)(ii)	გარიგების პარტნიორი იღებს ვალდებულებას, რომ გარიგება შესრულდეს ფირმის ხარისხის კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, ამასთანავე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გარიგების გუნდს, კოლეგტიურად, გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობები შეასრულოს კომპილაციური გარიგება.

კომპილაციურ გარიგებაზე დაშვებული/აყვანილი უნდა იყოს მხოლოდ (ან ფირმის მიერ დანიშნული უნდა იყოს) გარიგების პარტნიორი, რომელსაც აქვს პროფესიული კომპეტენციები აღნიშნული/მოთხოვნილი სამუშაოს შესასრულებლად. ეს კომპეტენცია შეიძლება მიღებული ჰქონდეს სხვა კომპილაციური გარიგებების შესრულების შედეგად, გამოცდილების მქონე პერსონალის მიერ რეპეტიტორობიდან ან სხვა კომპეტენტურ ხალხთან ერთად მუშაობის შედეგად. სხვაგვარად, კომპეტენცია უნდა მიიღოს შესაბამისი სატრენინგო კურსების გავლით და შესაბამისი მასალის (მათ შორის ISRS 4410 (შესწორებული) ამ სახელმძღვანელოსთან ერთად) გაცნობით.

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპეტენციის ქონა აუცილებელია, რაც ადასტურებს, რომ AFRF-ის მოთხოვნებს (როგორცაა IFRS ან SME-ების IFRS) საკმარისად დეტალურად ფლობს საანგარიშგებო მოთხოვნების გასააზრებლად და შესაბამისად, დაადგენს იმ სფეროებს, სადაც ჩანაწერები, დოკუმენტები, ახსნა-განმარტებები ან სხვა ინფორმაცია, მათ შორის მნიშვნელოვანი განსჯები/მოსაზრებები, არასრული, არასწორი ან სხვაგვარად არადაამაკმაყოფილებელია. პრაქტიკოს-ბუღალტრის ამგვარი კომპეტენცია დაეხმარება კლიენტს ამ პრობლემების მოგვარებაში.

პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა შესთავაზოს ხელმძღვანელობას სათანადო შესწორებები/ცვლილებები ნებისმიერი არსებითი მუხლისთვის, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის კომპილაციური გარიგების შესრულების დროს.

პარაგრაფი	მოთხოვნა
4	ხარისხის კონტროლის სისტემები, პოლიტიკა და პროცედურები ფირმის პასუხისმგებლობაა. ISQC 1 ეხება პრაქტიკოს-ბუღალტრთა ფირმებს ფირმის კომპილაციურ გარიგებებთან დაკავშირებით. ამ ISRS-ის დებულებები, რომლებიც ეხება ინდივიდუალური კომპილაციური გარიგებების დონეზე ხარისხის კონტროლს, ეფუძნება იმას, რომ ფირმა ექვემდებარება ISQC 1-ს ან მოთხოვნებს, რომელთა შესრულება, როგორც მინიმუმ, მოითხოვება. (იხ: A6-A11)
23 (ბ)	გარიგების პარტნიორმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმაზე: (იხ: პარაგრაფი A25–A27) (ბ) რომ გარიგება შესრულდეს ფირმის ხარისხის კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, რისთვისაც (იხ: პარაგრაფი A25): (i) უნდა დაიცვას შესაბამისი პროცედურები კლიენტთან ურთიერთობებისა და გარიგებების მიღებისას და გაგრძელებისას; (იხ: პარაგრაფი A26) (ii) უნდა დარწმუნდეს, რომ გარიგების გუნდი, კოლეგტიურად, ფლობს შესაბამის კომპეტენციებს და შესაძლებლობებს, რათა შეასრულოს კომპილაციური გარიგება; (iii) ყურადღებით უნდა იყოს, რომ გარიგების გუნდის წევრები იცავდნენ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს. თუ გარიგების პარტნიორი გაიგებს, რომ გარიგების გუნდის წევრები არ ასრულებენ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს, მიიღოს შესაბამისი ზომები/გადაწყვეტილება; (იხ: პარაგრაფი A27) (iv) პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად უნდა წარმართოს, ზედამხედველობა გაუწიოს და განახორციელოს გარიგება; და (v) უნდა აიღოს პასუხისმგებლობა შესაბამისი გარიგების დოკუმენტაციის წარმოებაზე/შედგენაზე.

გასათვალისწინებელი მითითება

პრაქტიკოს-ბუღალტრებმა შეიძლება რეკლამირება გაუწიონ ხარისხის კონტროლის სტანდარტების დაცვის მოთხოვნას, როგორც კომპილაციური გარიგების კომერციულ/გასაღების მახასიათებელს. არა-პროფესიონალებისგან განსხვავებით, რომლებიც შესაძლოა ასევე სთავაზობენ კომპილაციურ მომსახურებას, პრაქტიკოს-ბუღალტრებს მოეთხოვებათ მაღალი სტანდარტების დაცვა. ეს პირობა გულისხმობს როგორც მაღალი მომსახურების დონეს, ასევე ეთიკური სტანდარტების დაცვას, რითაც პროფესიონალი უკეთესი ალტერნატივაა არა-პროფესიონალებთან შედარებით.

ISQC 1-ის გამოყენება

ISQC 1-ის თანახმად, ფირმებს აქვთ ვალდებულება, შექმნან და შეინარჩუნონ ხარისხის კონტროლის სისტემა დასაბუთებული რწმუნების უზრუნველსაყოფად, რომ:

- ისინი და მათი პერსონალი იცავენ პროფესიულ სტანდარტებს და მოქმედ სამართლებრივი და მარეგულირებელ მოთხოვნებს; და
- ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული ანგარიშები შეესაბამება გარემოებებს.

თუ ფირმა ექვემდებარება ISQC 1-ს სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების განხორციელების მიზნით, იგი უკვე უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, და იცავდეს/ასრულებდეს ამ სტანდარტს. თუ არა, მაშინ ფირმას მოეთხოვება, შეიმუშავოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მიაღწევენ ხარისხის კონტროლის სისტემის მიზნებს, და შემდგომ რეგულარულად უნდა გაუწიოს მონიტორინგი ამ პოლიტიკას. [მცირე- და საშუალო-ზომის პრაქტიკების ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში](#) მოცემულია პრაქტიკული მითითებები/რჩევები SMP-ების ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვის შესახებ.

შემდეგ დანართში ნაჩვენებია ISQC 1, როგორც ფუნდამენტი, რომელზეც ფირმა ავითარებს თავისი ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემას. ISRS 4410-ში (შესწორებული) ასახულია გარიგების სტანდარტები კომპილაციური გარიგებისთვის. ამ დანართში ასევე შეჯამებულია პოლიტიკასა და პროცედურებს შორის კავშირი/ურთიერთობა ფირმაში და გარიგების დონეზე.

დანართი 3.1-5A

სახელმწიფო დონე

ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC 1)

ფირმის დონე
(პოლიტიკა და პროცედურები)

ხარისხის კონტროლის სისტემა (QC), რომელიც შეესაბამება ISQC 1-ს

გარიგების დონე
(პოლიტიკა და პროცედურები)

ყოველ გარიგებაზე ფირმის QC სისტემის დანერგვა

აუდიტი
(ISA 220)

მიმოხილვა
(ISRE 2400)

კომპილაცია
(ISRS 4410)

3.2 შესაძლებელია გარიგების მიღება ან გაგრძელება?

კონკრეტული კომპილაციური გარიგების მიღებამდე ან გაგრძელებამდე, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა განიხილოს რამდენიმე საკითხი. ამ წინასწარი პროცედურების განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაცია ასევე სასარგებლო შეიძლება იყოს გარიგების სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციების შესრულებისას. [დანართი ბ-ში](#) მოცემულია კლიენტის მიღების/გაგრძელების ჩამონათვალის ნიმუში, რომელიც პრაქტიკოს-ბუღალტრებს სთავაზობს გასათვალისწინებელ მითითებებს, როდესაც ისინი იღებენ ან აგრძელებენ კომპილაციურ გარიგებას.

პარაგრაფი	მოთხოვნა
	პრაქტიკოსი-ბუღალტერი არ უნდა დათანხმდეს გარიგებას, სანამ არ შეათანხმებს გარიგების პირობებს ხელმძღვანელობასთან, ასევე დამკრედიტებელ მხარესთან, თუ განსხვავებულია/სხვაა, მათ შორის: (ა) ფინანსური ინფორმაციის მიზანმიმართული გამოყენება და გავრცელება, და ნებისმიერი შეზღუდვა მის გამოყენებაზე ან გავრცელებაზე, შესაბამისად; (იხ: პარაგრაფები A20, A28-A29, A32-A33); (ბ) მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს იდენტიფიკაცია; (იხ: პარაგრაფები A20, A30-A33); (გ) კომპილაციური გარიგების მიზანი და გამოყენების სფერო; (იხ: პარაგრაფი A20) (დ) პრაქტიკოსი-ბუღალტრის პასუხისმგებლობები, ასევე შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების შესრულების მოთხოვნა; (იხ: პარაგრაფი A20) (ე) ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები (იხ: პარაგრაფი 34-36): (i) ფინანსური ინფორმაციაზე, ასევე მის მომზადებასა და წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს შესაბამისად, რომელიც მისაღებად ფინანსური ინფორმაციის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის და მიზნობრივ მომხმარებლებისთვის; (ii) ხელმძღვანელობის მიერ კომპილაციური გარიგებისთვის მიწოდებული ჩანაწერების, დოკუმენტაციის, განმარტებების და სხვა ინფორმაციის სისწორეზე და სისრულეზე; და (iii) ფინანსური ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენისთვის საჭირო დასკვნებზე/მოსაზრებებზე, მათ შორის, იმ დასკვნებზე/მოსაზრებებზე, რომელზეც პრაქტიკოს-ბუღალტერს შეუძლია გაუწიოს დახმარება კომპილაციური გარიგების მსვლელობისას; და (იხ: პარაგრაფი A22) (ვ) პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშის სავარაუდო/მოსალოდნელი ფორმა და შინაარსი.
24	

კონკრეტული მინი სიტუაცია

როგორც პრაქტიკოს-ბუღალტერმა, თქვენ იცით, რომ ISRS 4410-ის (შესწორებული) შესაბამისად შესრულებული გარიგება მოითხოვს ხარისხის კონტროლის სტანდარტების დაცვას, რომელიც, როგორც მინიმუმ, ისევე მოითხოვება როგორც ISQC 1. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ფირმა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

ცოტა ხნის წინ თქვენ დაგიკავშირდათ ორი ახალი კლიენტი. პირველი არის კარგად-დამკვიდრებული ტექნოლოგიური ფირმა, რომელსაც გააჩნია პატიოსნების და ინოვაციის რეპუტაცია; მესაკუთრეებს ბოლო სამი თაობის განმავლობაში საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირები ჰქონდათ. წინამორბედი პრაქტიკოსი-ბუღალტერი მრავალი წელია თქვენი სანდო მეგობარია. მის პასუხში, უფლებამოსილების მიღების/გადაცემის წერილთან დაკავშირებით, აღნიშნული იყო, რომ არ არსებობს პროფესიული მიზეზი, რის გამოც თქვენ არ უნდა მიიღოთ ეს კლიენტი/დამკვეთი. თქვენ იცით, რომ თქვენს ფირმას აღნიშნული კლიენტი/დამკვეთი დაუკავშირდა იმ მიზეზით, რომ თქვენი მეგობარი ახლო მომავალში აპირებს პენსიაზე გასვლას.

მეორე კლიენტს ახალი წამოწყებული აქვს ბიზნესი, რომელმაც საკმაო აქიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. რამდენადაც იგი 24-საათიანი კაზინოა, საზოგადოებამ თავდაპირველად სცადა, თუმცა წარუმატებლად, რომ ეს ბიზნესი ქალაქიდან მოშორებით ყოფილიყო განთავსებული, რადგან ადგილობრივი სამართალდამცავები და საკრებულოს წევრები შემოფთხეულები იყვნენ მოსალოდნელი უარყოფითი სოციალური შედეგებით და შიშობდნენ, რომ გაიზრდებოდა წვრილმანი დანაშაულებრივი მარეგულაციები. დღეისათვის, ამ კონკრეტულმა კლიენტმა მოამზადა თავისი ფინანსური ანგარიშგებები ფირმის შიგნით.

გამოიყენეთ კლიენტთა მიღების/გაგრძელების პროცედურების მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენს თქვენი ხარისხის კონტროლის სისტემის ნაწილს, და იმსჯელეთ შემდეგ სადისკუსიო საკითხებზე:

სადისკუსიო საკითხები:

ამ ორი კლიენტიდან, რომელია უფრო სარისკო? რატომ? უნდა მიიღოთ თუ უარი უნდა უთხრათ რომელიმე ამ ახალ კლიენტს? რა იქნება თქვენი გადაწყვეტილების საფუძველი??

3.2-1 მიზანი

კომპილაციურ გარიგებაში ხშირად მოითხოვება პრაქტიკოსი-ბუღალტრის უნარ-ჩვევების და გამოცდილების გამოყენება, როდესაც არ არსებობს ფინანსური ანგარიშგებების გარე მომხმარებლები (გარდა საგადასახადო და სხვა მარეგულირებელი ორგანოებისა).

3.2-2 გარიგების კანონზომიერება

კლიენტისა და კონკრეტული გარემოებების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა გაითვალისწინოს, გარდა დადგენილი მიზნისა, რამდენად კანონზომიერია/მართებულია ამგვარი გარიგების მიღება. ეს გადაწყვეტილება ეფუძნება პროფესიულ განსჯას/მოსაზრებას.

ახალი გარიგების მიღებისას, პრაქტიკოს-ბუღალტერმა, პირველ რიგში, უნდა განსაზღვროს გარიგების ხასიათი, რათა უზრუნველყოს შესაბამისი მომსახურება (იხ. დანართი 2.3-3ა). პრაქტიკოსი-ბუღალტერი ვალდებულია, თითოეულ კლიენტს შესთავაზოს მისთვის მაქსიმალურად შესაფერისი გარიგების ტიპი, თითოეული კლიენტის სიტუაციიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე.

გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, სჭირდება თუ არა კლიენტს მარწმუნებელი გარიგება, ანუ, შეესაბამება თუ არა კომპილაციური გარიგება არსებულ გარემოებებს. იმის დადგენისას, თუ რა ტიპის გარიგება სჭირდება კლიენტს, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- მოთხოვნილი იქნება თუ არა ანგარიშგებები კრედიტორების, ინვესტორების ან სხვა გარე დაინტერესებული პირების მიერ?
- გარე მესამე მხარე დამოკიდებულია თუ არა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე?
- ექნება თუ არა დამატებითი ეკონომიკური ეფექტი კლიენტისთვის, პრაქტიკოს-ბუღალტრის მიერ მარწმუნებელი გარიგების შესრულების შედეგად მიღებულ დამატებით ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს კლიენტის საქმიანობის მართვას?
- რა მოლოდინები აქვს კლიენტს?
- იცის თუ არა კლიენტმა ფინანსური ანგარიშგებების შეზღუდვების შესახებ?

ამგვარი მსჯელობა ხელს უწყობს, დადგინდეს, კანონზომიერია თუ არა კომპილაცია. ფინანსური ანგარიშგებების მოსალოდნელი მომხმარებლების საჭიროებები პირველ რიგში არის გასათვალისწინებელი.

თუ პრაქტიკოსი-ბუღალტერი ფიქრობს, რომ ფინანსურ ანგარიშგებებს მომხმარებელთა მხრიდან მაღალი ნდობის მაჩვენებლები ექნება, მაშინ კომპილაცია არ იქნება მართებული/კანონზომიერი. თუმცა, კომპილირებული შუალედური ანგარიშგებები შესაძლოა საკმარისი იყოს, თუ მომხმარებლებს აქვთ წვდომა წლიურ (წლის-დასასრულის) აუდიტირებულ ან მიმოხილულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სანამ პრაქტიკოსი-ბუღალტერი შესთავაზებს კლიენტს კომპილაციურ გარიგებას, აუცილებელია, აუხსნას მას ამ გარიგების შეზღუდვები, და თავად პრაქტიკოსი-ბუღალტრის მონაწილეობის/ჩართულობის შეზღუდვები.

თუ კომპილაცია ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილ კომფორტულ დონეს, მაშინ ის არ არის მართებული. ყოველთვის, გარიგების დაწყებამდე, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტს ესმის/აცნობიერებს და აწყობს მომსახურების აღნიშნული დონე. სწორედ ამგვარი მოსაზრებები უნარჩუნებს მარწმუნებელ გარიგებას მნიშვნელობას და სტატუსს. არავინ არ უნდა შეარყიოს ის ნდობა და რწმენა, რომელიც გააჩნიათ ამ მომსახურების მიმართ მომხმარებლებს.

დანართი 3.2-2A

ზოგიერთი გარემოება/ვითარება, როდესაც კომპილაციური გარიგება არ არის მართებული, მოცემულია შემდეგ დანართში.

გარიგება არ არის მართებული	ინფორმაცია მომზადებულია დაუდევრად ან აღმოჩნდა, რომ ინფორმაცია გამოტოვებულია ან გაურკვეველია/ზუნდოვანია, რის გამოც ფინანსური ანგარიშგებები ხდება დამაბნეველი/შეცდომაში შემყვანი.
	პრაქტიკოსი-ბუღალტრის აზრით, ხელმძღვანელობას არ სურს ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებებში, მაგრამ ამ ცვლილებების გარეშე, ეს ფინანსური ანგარიშგებები იქნება არსებითად დამაბნეველი/შეცდომაში შემყვანი.
	კლიენტი ცდილობს როგორმე აიცილოს მოდიფიცირებული ანგარიში, რომელიც გაიცემა მარწმუნებელი გარიგების დროს, და მოითხოვს გარიგების ნაკლებკვალიფიციური მომსახურების დონე.

გასათვალისწინებელი მითითება

ზოგიერთ შემთხვევაში, კლიენტებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული "საჭიროებები/მოთხოვნები", ვიდრე მათ, ვისაც სურთ, დაეყრდნონ/ენდონ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ ინფორმაციას. კანონზომიერების/მართებულობის შეფასება მიზნად ისახავს, პრაქტიკოს-ბუღალტერმა იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, დაიცვას პროფესიული ეთიკური მოთხოვნები, და არ შექმნას კლიენტებთან კოჰორტა მომხმარებელთა საზიანოდ.

თუ გარიგება არ არის მართებული, განიხილეთ გარიგების სხვა ტიპები, რომლებიც დააკმაყოფილებენ კლიენტის და მისი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთა მოთხოვნილებებს, და შესაბამისი იქნება გარიგების აღნიშნულ გარემოებებში (როგორიცაა აუდიტი, მიმოხილვა, შეთანხმებული პროცედურები ან სხვა სააღრიცხვო მომსახურება). იხილეთ ამ სახელმძღვანელოს მე-2 თავი, რომელშიც ნაჩვენებია განსხვავებები აუდიტს, მიმოხილვას, კომპილაციასა და შეთანხმებულ პროცედურებს შორის.

3.3 გარიგების პირობების შეთანხმება

წინამდებარე თავში განხილული, მიღებასა და გაგრძელებაზე ზემოქმედი, ფაქტორების გარდა, კომპილაციური გარიგების შესრულებამდე მოითხოვება კიდევ ერთი ეტაპის გავლა.

3.3-1 გამოყენებადი/მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები

მიუხედავად იმისა, რომ AFRF-ის არჩევა ხშირად კანონით ან რეგულაციებით არის დადგენილი, ხელმძღვანელობამ ზოგჯერ შეიძლება საკუთარი გადაწყვეტილება, თუ რომელი AFRF გამოიყენოს, მიიღოს ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში, არჩევანი ხშირად ეფუძნება სამეურნეო ერთეულის ტიპს და იმ მოტივს, რის გამოც მზადდება ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსურ ანგარიშგებათა უმრავლესობა მზადდება [საერთო დანიშნულების ჩარჩო/საფუძვლების](#) მიხედვით/შესაბამისად, რომელიც განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო სპექტრის საერთო ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. IFRS და SME-ების IFRS არის საერთო დანიშნულების ჩარჩოს/საფუძვლების ნიმუშები.

ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძველი შეიძლება იყოს სამართლიანი წარდგენის ჩარჩო/საფუძველი ან შესაბამისობის ჩარჩო/საფუძველი, როგორც მოცემულია შემდეგ დანართში.

ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები	
სამართლიანი წარდგენის ჩარჩო/საფუძველი	
ტერმინი <i>სამართლიანი წარდგენის ჩარჩო/საფუძველი</i> გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოსთან/საფუძვლებთან მიმართებაში, რომელიც მოითხოვს ჩარჩოს/საფუძვლების მოთხოვნების დაცვას და:	
(ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მისაღწევად, საჭიროა, ხელმძღვანელობამ, გარდა ჩარჩოთი/საფუძვლებით კონკრეტულად მოთხოვნილი ინფორმაციისა, უზრუნველყოს სხვა დახურული ინფორმაციის გასაჯაროება; და	
(ბ) ადასტურებს პირდაპირ, რომ შეიძლება, გარდაუვალ შემთხვევებში, ხელმძღვანელობამ თავი აარიდოს ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის ჩარჩოს მოთხოვნებს. ასეთი დარღვევა მხოლოდ უკიდურესად იშვიათ და გარდაუვალ შემთხვევებში მოხდება.	
შესაბამისობის ჩარჩო/საფუძველი	
ტერმინი <i>შესაბამისობის ჩარჩო/საფუძველი</i> გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოსთან/საფუძვლებთან მიმართებაში, რომელიც მოითხოვს ჩარჩოს/საფუძვლების მოთხოვნების დაცვას, მაგრამ არ შეიცავს (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებში მითითებულ დადასტურებას.	

გასათვალისწინებელი მითითება

ბევრ მცირე კლიენტს შეეძლოთ ჰგონია, რომ გამოცდილებიდან გამომდინარე, პრაქტიკოსი-ბუღალტერი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. გამოწვევით დრო, შეხვედრით თქვენს კლიენტებს და განიხილეთ მათი და თქვენი პასუხისმგებლობები, ასევე შეთანხმდით AFRF-ის გამოყენებაზე. ნუ იფიქრებთ, რომ როდესაც ხელმძღვანელობა ან TCWG ხელს აწერს გარიგების წერილს, მათ აუცილებლად ესმით საკუთარი პასუხისმგებლობების მთელი მასშტაბი. ამ კონტექსტში, სასარგებლო იქნებოდა, კლიენტებთან განიხილოთ ისეთი სახის გარემოებები, რომლებიც ხელს შეგიშლით გარიგების დასრულებაში.

3.3-2 გარიგების პირობების შეთანხმება

პარაგრაფი	მოთხოვნა
25	პრაქტიკოსი-ბუღალტერი ვალდებულია, გარიგების შესრულებამდე, გარიგების შესახებ შეთანხმებული პირობები ჩაწეროს გარიგების წერილში ან წერილობითი შეთანხმების სხვა შესაფერის ფორმაში (იხ: პარაგრაფები A37-39).

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული, გარიგების განხორციელებისას შესაბამის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული გაუგებრობები, ყველა მხარის (TCWG, ხელმძღვანელობა და პრაქტიკოსი-ბუღალტერი) ინტერესებში შედის, რომ გარიგების პირობები მკაფიოდ იყოს ფორმულირებული გარიგების წერილში (ან წერილობითი შეთანხმების სხვა შესაფერის ფორმაში), რომელიც სათანადოდ ხელმოწერილი იქნება ხელმძღვანელობის ან TCWG-ს მიერ, გარიგების შესრულებამდე.

გარიგების წერილის ან წერილობითი ხელშეკრულების სხვა შესაფერისი ფორმის მომზადებისას:

- შეადგინეთ გარიგების წერილის პირობები ისე, რომ ასახოთ კონკრეტული გარიგების ცალკეული მოთხოვნები და გარემოებები;
- ჩამოაყალიბეთ გარიგების მიზნები და გამოყენების სფერო, ასევე მკაფიოდ მიუთითეთ, რომ ეს გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება;
- გაითვალისწინეთ ფინანსური ანგარიშგების (სავარაუდო) დანიშნულება და გავრცელება, ასევე მათ გამოყენებაზე ან გავრცელებაზე არსებული რაიმე შეზღუდვა (სადაც გამოიყენება);
- ხელმძღვანელობისა და პრაქტიკოსი-ბუღალტრის პასუხისმგებლობების დადგენა/განსაზღვრა; და
- აღწერეთ ანგარიშის ფორმა და შინაარსი, რომელიც უნდა გაიცეს.

იხილეთ [დანართი 6](#), სადაც მოცემულია ISRS 4410-ის (შესწორებული) მაგალითის მიხედვით შედგენილი გარიგების წერილის ნიმუში.

პარაგრაფი	მოთხოვნა
26	პერიოდული/განმეორებადი კომპილაციური გარიგების შემთხვევაში, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა შეაფასოს, მოითხოვს თუ არა გარემოებები, მათ შორის გარიგების მიღების მოსაზრებებში შეტანილი ცვლილებები, რომ გადაიხედოს გარიგების პირობები, და არის თუ არა საჭიროება, შევასხენოთ გარიგების არსებული პირობები ხელმძღვანელობას. (იხ: პარაგრაფი A40)

არ არის აუცილებელი, ახალი გარიგების წერილის ან სხვა წერილობითი შეთანხმების მიღება იმ პერიოდებისთვის, როდესაც არ მომხდარა ცვლილებები იმ გარემოებებში, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ გარიგებაზე.

ახალი გარიგების წერილი განიხილება შემდეგ შემთხვევებში, როგორცაა:

დანართი 3.3-2A

ინდიკატორები, რომლებიც აჩვენებენ, რომ გარიგების წერილი უნდა განახლდეს	ნებისმიერი ნიშანი იმისა, რომ ხელმძღვანელობას არასწორად ესმის კომპილაციური გარიგების მიზანი და გამოყენების სფერო.
	გარიგების ნებისმიერი შესწორებული ან სპეციალური პირობა.
	სამეურნეო ერთეულის უმაღლესი ხელმძღვანელობის ბოლოდროინდელი ცვლილება.
	სამეურნეო ერთეულის მესაკუთრეთა მნიშვნელოვანი ცვლილება.
	სამეურნეო ერთეულის საქმიანობის ხასიათისა და მოცულობის მნიშვნელოვანი ცვლილება.
	სამართლებრივი ან მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს სამეურნეო ერთეულზე.
	ცვლილება AFRF-ში.

გასათვალისწინებელი მითითება

ბევრ ფირმას აქვს პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, ფირმა ითხოვს ახალი გარიგების წერილს ყოველწლიურად, ან ყოველ სამ წელიწადშიერთხელ, თუნდაც გარემოებები არ იყოს შეცვლილი. ეს უზრუნველყოფს, რომ ხელმძღვანელობას მუდამ ახსოვდეს გარიგების პირობები.

3.3-3 სხვა საკითხები, რომლებიც შეტანილი უნდა იყოს გარიგების წერილში

გარიგების წერილში, ასევე, შეიძლება განხილული იქნას სხვა საკითხები, რომლებზეც იქნა მიღწეული შეთანხმება, და რომლებიც უკავშირდება მოთხოვნილ სამუშაოს. ზოგიერთი მათგანი აღწერილია შემდეგ დანართში.


დანართი 3.3-3A

ინდიკატორები, რომლებიც აჩვენებენ, რომ გარიგების წერილი უნდა განახლდეს	ანგარიშის დანიშნულება და გავრცელება.
	ფინანსური ანგარიშგებების გაშუქება/ჩართვა წლიურ ანგარიშში ან ვებგვერდზე.
	ხელმძღვანელობის მიერ გრაფიკის მომზადება.
	მიღებული ინფორმაციის გამოყენება/დანიშნულება და მესამე-მხარის ფაილის ინსპექტირება.
	დავების მოგვარება და კომპენსაციები (სადაც დაშვებულია ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად).
	ანგარიშგების ვადების ჩარჩოები.
	მოსაკრებლები და ანგარიშთა წარდგენა.
	გარიგების შეწყვეტა.
	სხვა მომსახურება (სადაც მართებულია).

ზოგიერთი ფორმულირება, რომელიც ეხება თითოეულ ამ საკითხს, მოცემულია [დანართი 6](#)-ში, გარიგების წერილის ნიმუშში.

4

დაგეგმარება



ამ თავის შინაარსი

- ეფექტური ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობა.
- განიხილეთ სამუშაო ძალისხმევა, მათ შორის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები/მოსაზრებები, რომელზეც პრაქტიკოს-ბუღალტერს შეუძლია დახმარება გაგიწიოთ.
- განიხილეთ არსებითობა AFRF-ის კონტექსტი.
- შეისწავლეთ სამეურნეო ერთეულის საქმიანობა და ოპერაციები.

4.1 უწყვეტი კომუნიკაცია	4.2 არსებითობის განხილვა	4.3 სამეურნეო ერთეულის შესწავლა	4.4 პროცედურები
4.1-1 მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები 4.1-2 კომუნიკაციის სახეები	4.2-1 განიხილეთ არსებითობა	4.3-1 რატომ? 4.3-2 დაგეგმარების დანიშნულება და პრივილეგიები	4.4-1 პროცედურების სახეები
შედეგი სამოქმედო გეგმა ფინანსური ანგარიშგებების კომპილირებისთვის, რომლებიც არ უნდა უნდა იყოს არასრული, არასწორი ან სხვაგვარად არადაამუშავებული.			

რამდენადაც SMP-ების მიერ შესრულებული მრავალი კომპილაციური გარიგება მოიცავს შედარებით მცირე გარიგების გუნდებს, ანდა შეიძლება განხორციელდეს ერთი პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ, დაგეგმარება შედარებით სწრაფი და მარტივია.

პარაგრაფი	მოთხოვნა
27	პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა შეატყობინოს ხელმძღვანელობას ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, როგორც წესი, პერიოდულად, კომპილაციური გარიგების მსვლელობისას, ყველა საკითხი, რომელიც ეხება კომპილაციურ გარიგებას, და რომელიც, პრაქტიკოსი-ბუღალტრის პროფესიული განსჯით/მოსაზრებით, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა მიიქციოს ხელმძღვანელობის ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ყურადღება, შესაბამისად. (იხ: პარაგრაფი A41)

4.1-1 მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები

ეფექტური კომუნიკაციის პირველ ეტაპზე, უნდა დადგინდეს, სამეურნეო ერთეულის მმართველობითი სტრუქტურის (TCWG) შიგნით, რომელ შესაბამის პირთან/პირებთან გეგნებათ კომუნიკაცია.

მცირე სამეურნეო ერთეულებში, ერთ პირს, როგორიცაა მესაკუთრე-მენეჯერი ან ერთადერთი ნდობით აღჭურვილი პირი, შეიძლება დაეკისროს ორივე ფუნქცია, ხელმძღვანელობა და მართვა. სხვა სიტუაციებში, როგორიცაა ოჯახური ბიზნესი, ყველა TCWG შეიძლება ჩართული იყოს მართვის ზოგიერთ ასპექტში.

ახალი კლიენტის მიღებისას:

- გაარკვიეთ/შეისწავლეთ მათი მმართველობითი სტრუქტურა.
- გარიგების მხარესთან განიხილეთ ის კომპეტენტური პიროვნება, ვისთანაც გეგნებათ კომუნიკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპეტენტური პიროვნება შეიძლება იცვლებოდეს/შეიცვალოს, გააჩნია რა საკითხებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია.

4.1-2 კომუნიკაციის მეთოდები/საშუალებები

კომუნიკაცია მოიცავს კონსტრუქციულ სამუშაო ურთიერთობებს გარიგების გუნდის შიგნით, ისევე, როგორც სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელობასა და TCWG-სთან, თუმცა ამავედროულად შენარჩუნებულია პატიოსნება და ობიექტურობა.

ორმხრივი კომუნიკაციისას:

- პრაქტიკოსი-ბუღალტერი ვალდებულია, ხელმძღვანელობას ან TCWG-ს შეატყობინოს ის საკითხები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა ხელმძღვანელობამ ან TCWG-მ მიაქციოს ყურადღება; და
- ხელმძღვანელობა ან TCWG დაეხმარება პრაქტიკოს-ბუღალტერს სამეურნეო ერთეულის შესწავლაში, ასევე მიაწოდებენ კონკრეტული ოპერაციების ან მოვლენების შესახებ ინფორმაციას.

ზოგიერთი ტიპური კომუნიკაცია, რომელიც შეიძლება მოხდეს კომპილაციური გარიგების ფარგლებში, მოცემულია შემდეგ დანართში.

დანართი 4.1-2A

მხარეები	კომუნიკაციის ხასიათი
პრაქტიკოსი-ბუღალტერი და გარიგების გუნდი	• ზეპირი ან ელექტრონული ინსტრუქციები • მიღებული ინფორმაციის გამოკვეთა, მაგ: წინა კომპილაციური გარიგების ფაილებში • ბრიფინგი, სამეურნეო ერთეულის და კონკრეტულ მოთხოვნების შესწავლაში დასახმარებლად • დაგეგმარების განხილვა • შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხი • უკუკავშირი უკვე შესრულებული სამუშაოზე • მიღებული მონაცემების და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის გაზიარება
გარიგების გუნდი	• კითხვების დასმა და მიღებული ინფორმაციის განხილვა • უკუკავშირი
პრაქტიკოსი-ბუღალტერი/გარიგების გუნდი სამეურნეო ერთეულის პერსონალთან, ხელმძღვანელობასთან, და TCWG-სთან	• სამეურნეო ერთეულის შესწავლაში დასახმარებლად ინფორმაციის გაზიარება • გარიგების დაგეგმარება • ცნობების მოპოვება/გამოკითხვები • კონკრეტული ინფორმაციის გამოთხოვა • ოფიციალური კორესპონდენცია, როგორიცაა გარიგების პირობები (გარიგების წერილი) და ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება • დისკუსია ნებისმიერი წამოჭრილი კონკრეტული საკითხის მოგვარების მიზნით

ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილობრივი კანონები ან რეგულაციები შეიძლება:

- ზღუდავდეს გარკვეული საკითხების შესახებ ინფორმაციის გადაცემას/მიწოდებას TCWG-სთვის, როგორცაა ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს შესაბამის ორგანოების მიერ წარმოებულ გამოკვლევას/შესწავლას, რომელიც ეხება კანონების ან რეგულაციების არ-შესრულებას ან არსებობს ეჭვი, რომ არ სრულდება ისინი. თუ კონკრეტული კომუნიკაცია სათუთა, უმჯობესია, მიიღოთ იურიდიული კონსულტაცია.
- ითხოვდეს, მარეგულირებელ ან აღმასრულებელ ორგანოებს ეცნობოს გარკვეული საკითხების შესახებ (მაგ., უზუსტობები, რომლებიც იქნა იდენტიფიცირებული ან არ იქნა შესწორებული), ან მესამე მხარეს მიეწოდოს პრაქტიკოსი-ბუღალტრის TCWG-თან წერილობითი კომუნიკაციის ასლი. ასეთ სიტუაციებში, გაითვალისწინეთ, არის თუ არა საჭირო, რომ ხელმძღვანელობის ან TCWG-ს მხრიდან წინასწარ მიიღოთ თანხმობა.

4.2 არსებობის განხილვა

პარაგრაფი	მოთხოვნა
	თუ პრაქტიკოსი-ბუღალტერი გარიგების მსვლელობისას გაიგებს, რომ:
34	(ა) კომპილირებული ფინანსური ინფორმაცია არა-ადეკვატურად მიუთითებს ან აღწერს მოქმედ ჩარჩოს; (იხ: პარაგრაფი A47)
	(ბ) კომპილირებულ ფინანსურ ინფორმაციაში საჭიროა შესწორებების/ცვლილებების შეტანა, რათა ფინანსური ინფორმაცია არ იყოს არსებითად არასწორი; ან (იხ: პარაგრაფები A48-50)
	(გ) კომპილირებული ფინანსური ინფორმაცია სხვაგვარად არის დამაბნეველი/შეცდომაში შეყვანი. (იხ: პარაგრაფი A51)
	პრაქტიკოსი-ბუღალტერმა უნდა შესთავაზოს ხელმძღვანელობას შესაბამისი შესწორებების/ცვლილებების შეტანა.

4.2-1 განხილეთ არსებობა

პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ არსებობის განხილვა ხდება AFRF-ის კონტექსტში. ზოგიერთი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოებში/საფუძვლებში არსებობის კონცეფცია განხილულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენის კონტექსტში, ხოლო სხვებში კი არა.

ზოგადად, უზუსტობები, მათ შორის დაუდევრობა, არსებითია, თუ მათ, ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც ისინი იღებენ ამ ინფორმაციის საფუძველზე.

არსებობის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ არსებული/თანმდევრი გარემოებების გათვალისწინებით, და ამ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებას ახდენს უზუსტობების მოცულობა ან ხასიათი, ან ორივე ერთად. ეს გადაწყვეტილებები, იმ საკითხების შესახებ, რომლებიც არსებითია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის, მიიღება ამ მომხმარებელთა, როგორც ერთიანი ჯგუფის, ფინანსური ინფორმაციის საერთო საჭიროებების განხილვის შედეგად.

პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა საჭიროებების აღქმა გავლენას ახდენს პრაქტიკოსი-ბუღალტრის ხედვაზე არსებობის შესახებ.

4.3 სამეურნეო ერთეულის შესწავლა

პარაგრაფი	მოთხოვნა
	პრაქტიკოსი-ბუღალტერმა უნდა შეისწავლოს შემდეგი საკითხები, რომლებიც საკმარისია იმისთვის, რომ მან შეძლოს კომპილირებული გარიგების შესრულება: (იხ: პარაგრაფები A42-A44)
28	(ა) სამეურნეო ერთეულის საქმიანობა და ოპერაციები, მათ შორის, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა და საბუღალტრო ჩანაწერები; და
	(ბ) მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო, მათ შორის, მისი გამოყენება ორგანიზაციის მრეწველობის დარგში.

4.3-1 რატომ?

სანამ პრაქტიკოსი-ბუღალტერი არ შესწავლის სამეურნეო ერთეულს, მას არ შეუძლია დაადგინოს, რომელი ჩანაწერები, დოკუმენტები, ახსნა-განმარტებები, ან სხვა ინფორმაცია, მათ შორის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები/განსჯები არის არასრული, არასწორი, ან სხვაგვარად არადამაკმაყოფილებელი. ასეთი გააზრება, ასევე AFRF-ის ცოდნა, ეხმარება პრაქტიკოს-ბუღალტერს, დაიცვას სათანადო ეთიკური მოთხოვნები.

ISRS 4410-ის (შესწორებული) მოთხოვნაა, შესწავლილი იქნას სამეურნეო ერთეულის ბიზნესი/საქმიანობა და ოპერაციები, მათ შორის, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა და საბუღალტრო ჩანაწერები, ასევე AFRF და მისი გამოყენება ორგანიზაციის მრეწველობის დარგში. პრაქტიკოს-ბუღალტერს მოეთხოვება, შესთავაზოს შესწორებები/ცვლილებები იქ, სადაც კომპილირებული ფინანსური ანგარიშგებები სხვაგვარად შეიძლება დამაბნეველი იყოს, ან სადაც სხვაგვარად გაკეთების შეუძლებლობა/შეუსრულებლობა, გამოიწვევს არსებით უზუსტობას ფინანსურ ანგარიშგებაში.

გასათვალისწინებელი მითითება

სამეურნეო ერთეულის საქმიანობის და ოპერაციების, მათ შორის, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების და საბუღალტრო ჩანაწერების, შესწავლა არის მიმდინარე პროცესი, რომელიც ხდება კომპილაციური გარიგების პროცესში (ანუ, ეს არის იტერაციული პროცესი). ამ შესწავლის შედეგად იქმნება ათვლის სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ფინანსური ანგარიშგების კომპილირებისას, პრაქტიკოსი-ბუღალტერი ახორციელებს პროფესიულ განსჯის/მოსაზრების ჩამოყალიბებას.

დანართი 4.3-1A

პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ სამეურნეო ერთეულის შესწავლის ზოგიერთი პრივილეგია მოცემულია შემდეგ დანართში.

სამეურნეო ერთეულის შესწავლის პრივილეგია	კომპილაციური გარიგების დაგეგმარებისთვის და შესრულებისთვის, ასევე ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების შესახებ, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს უზუსტობებს, პროფესიული განსჯის/მოსაზრების ჩამოყალიბებისთვის იძლევა ათვლის წერტილს.
	უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ან TCWG-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონტექსტს.

დანართი 4.3-1B

კომპილაციური გარიგების ეტაპები მოცემულია შემდეგ დანართში.

გარიგების ეტაპი	ინფორმაციის წყარო
კლიენტის მიღება	გარიგების მიღების პროცედურები.
კლიენტთან გაგრძელება	მანამდე (ადრე) შესრულებული გარიგებები.
დაგეგმარება	ხელმძღვანელობიდან/TCWG-დან მიღებული ცნობები, მათ შორის, მნიშვნელოვანი საკითხები.
შესრულება	სამეურნეო ერთეულის საქმიანობის და ოპერაციების შესწავლის შედეგები და კომპილირებული ფინანსური ანგარიშგების წაკითხვა.
ანგარიშგება	პრაქტიკოს-ბუღალტრის ანგარიში.

4.3-2 დაგეგმარების დანიშნულება და პრივილეგიები

კვალიფიციური და ეფექტური კომპილაციური გარიგების შესასრულებლად დაგეგმარება არის გადამწყვეტი ნაბიჯი/ეტაპი.

დანართი 4.3-2A

კომპილაციური გარიგების დაგეგმარების ზოგიერთი დანიშნულება და პრივილეგია მოცემულია შემდეგ დანართში.

დაგეგმარების დანიშნულება	პარტნიორის/პერსონალის ყურადღების ფოკუსირება გარიგების მიზნებზე.
	იმ გზების დადგენა, რითაც სამეურნეო ერთეული დაეხმარებოდა გარიგებას, მაგ: გარკვეული სამუშაო დოკუმენტების მომზადებაში.
დაგეგმარების პრივილეგიები	გუნდის წევრები სათანადოდ იცნობენ გარიგების მიზნებსა და მოლოდინებს.
	შესაძლოა პრობლემური სფეროების წინასწარ გათვალისწინება (შესაძლოა დონემდე) და სიურპრიზების თავიდან აცილება.
	გარიგება სათანადოდ/ჯეროვნად არის ორგანიზებული, დაკომპლექტებული და მართული.

4.4 პროცედურები

დაგეგმარების საბოლოო ეტაპზე უნდა დადგინდეს, არის თუ არა პროცედურები საჭირო, იმის განსაზღვრავად, შეთავსებადია თუ არა ფინანსური ანგარიშგებები პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ შესწავლილ სამეურნეო ერთეულის საქმიანობასთან და AFRF-სთან, ასევე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებები დამაბნეველი. ბუნებრივია, ნებისმიერი პროცედურის მოცულობა დამოკიდებულია სამეურნეო ერთეულისა და მისი ოპერაციების ზომასა და სირთულეზე, სამეურნეო ერთეულის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და დახარჯების ხასიათზე, მმართველობითი სტრუქტურის დახვეწის დონეზე, და ფინანსური ანგარიშგების სისტემებზე, ასევე ფინანსური ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებზე ან მოთხოვნებზე.


4.4-1 პროცედურების სახეები

მიუხედავად იმისა, რომ ISRS 4410-ში (შესწორებული) არ არის პირდაპირ მითითებული კომპილაციური გარიგების პროცედურები, იმის განხილვისას, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებები იმ მიზანს, რომლისთვისაც მოხდა მათი კომპილირება, შეიძლება განხილული იქნას შემდეგი ქმედებები:

- ზოგადად შეისწავლეთ სამეურნეო ერთეულის საქმიანობა და ოპერაციები, მათ შორის, იმ მრეწველობის დარგის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და პრაქტიკა, რომელშიც მოქმედებს სამეურნეო ერთეული;
- ზოგადად შეისწავლეთ სამეურნეო ერთეულის ბიზნეს გარიგების ხასიათი, საბუღალტრო ჩანაწერების ფორმა და რის საფუძველზეა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები;
- განიხილეთ ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასებები და დასკვნები, გაარკვიეთ, რომლებიც დაუსაბუთებელია;
- იმ ინფორმაციისთვის, რომელიც არასწორი ან არასრულყოფილია, ხელმძღვანელობას მოსთხოვეთ, მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ან ახსნა-განმარტება;
- ყურადღება მიაქციეთ უჩვეულო ან დიდ ოპერაციებს/გარიგებებს, რათა განიხილოთ ამ ჩანაწერების და/ან ამ გატარებების კლასიფიკაციის შესატყვისობა/შესაბამისობა; და
- ყურადღება მიაქციეთ: ანგარიშის ნაშთებში მოულოდნელ შეუსაბამისობებს, თუ არ არის გასაჯაროებული ინფორმაცია სავალდებულო ან მარეგულირებელი მოთხოვნებიდან ნებისმიერი ცნობილი გადახვევის ფაქტის შესახებ, ასევე AFRF-დან ნებისმიერ სხვა მნიშვნელოვან გადახვევას.

5

შესრულება



ამ თავის შინაარსი

- როგორ ჩავატაროთ/შევასრულოთ კომპილაციური პროცედურები.
- როდის არის საჭირო შესწორებების/ცვლილებების შეტანა.
- როგორც განვიხილოთ/გავაფორმოთ დოკუმენტურად შედეგები.

5.1 პროცედურების შესრულება/ჩატარება	5.2 განიხილეთ მიღებული ფინანსური ანგარიშგებები	5.3 დოკუმენტაცია
5.1-1 პროცედურები 5.1-2 ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება	5.2-1 საჭირო შესწორებების შეტანა, თუ გარიგებიდან გასვლა 5.2-2 ზედამხედველობა და მიმოხილვა	5.3-1 დოკუმენტაცია 5.3-2 დოკუმენტების ერთობლიობა
შედეგი პროცედურები დასრულდა და დოკუმენტურად გაფორმდა გარიგების ფაილებში.		

5.1 პროცედურების შესრულება

პარაგრაფი	მოთხოვნა
29	პრაქტიკოს-ბუღალტერმა ფინანსური ინფორმაციის კომპილირება უნდა მოახდინოს ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ჩანაწერების, დოკუმენტების, განმარტებებისა და სხვა ინფორმაციის, მათ შორის, მნიშვნელოვანი განსჯების/მოსაზრებების, საშუალებით.
30	პრაქტიკოს-ბუღალტერმა ხელმძღვანელობასთან, ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან, უნდა განიხილოს ის მნიშვნელოვანი განსჯა/მოსაზრებები, რისთვისაც პრაქტიკოსი-ბუღალტერი უწევს დახმარებას ფინანსური ინფორმაციის კომპილირების პროცესში. (იხ: პარა. A45)
32	თუ, კომპილაციური გარიგების პროცესში, პრაქტიკოსი-ბუღალტერი შეიტყობს, რომ კომპილაციური გარიგებისთვის ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ჩანაწერები, დოკუმენტაცია, განმარტებები ან სხვა ინფორმაცია, მათ შორის მნიშვნელოვანი განსჯა/მოსაზრებები, არასრული, არასწორი ან სხვაგვარად არადამაკმაყოფილებელია, პრაქტიკოსი-ბუღალტერმა ეს ფაქტი უნდა შეატყობინოს ხელმძღვანელობას და მოითხოვოს დამატებითი ან შესწორებული ინფორმაცია.

5.1-1 პროცედურები

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ISRS 4410-ში (შესწორებული) არ არის მითითებული რაიმე მოთხოვნილი/სავალდებულო პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს კომპილაციური გარიგების პროცესში. მიუხედავად ამისა, პრაქტიკოს-ბუღალტერს შეუძლია აირჩიოს რიგი პროცედურები, რათა მიაღწიოს კომპილაციის მიზნებს. პრაქტიკოსი-ბუღალტერი იყენებს პროფესიულ განსჯას/მოსაზრებას ასეთი პროცედურების ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრისას.

დანართი 5.1-1A

შესაძლო პროცედურების ხასიათი და სახე მოცემულია შემდეგ დანართში.

პროცედურის სახე	პროცედურის ხასიათი
დისკუსია	სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელობიდან და სხვა პირებიდან ინფორმაციის მოძიება, რომელიც მიჩნეულია ამ გარემოებების შესაფერისად, რათა შეისწავლოს საქმიანობა და ოპერაციები, აგრეთვე, გაეცნოს იმ სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებსა და პრაქტიკას, რომელშიც მოქმედებს სამეურნეო ერთეული. ეს ცოდნა დაეხმარება პრაქტიკოს-ბუღალტერს, შეაფასოს იმ აღრიცხვის მონაცემების ფორმა და შინაარსი, რომელიც სათანადოა ამ გარემოებებში, და გამოიყენებს იმ მიზნისთვის, რისთვისაც ინფორმაციის კომპილირება ხდება. საჭიროების შემთხვევაში, დისკუსიის ჩარჩოების გაფართოება ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, რომლისთვისაც პრაქტიკოს-ბუღალტერმა აღმოუჩინა დახმარება ფინანსური ანგარიშგებების კომპილაციის პროცესში. ამგვარი დისკუსია ასევე უზრუნველყოფს, რომ ხელმძღვანელობა ადასტურებს/სცნობს და იღებს პასუხისმგებლობას ამ მხრივ. ჩანაწერების გაკეთება, თუ როგორ ედრება/შეესაბამება კომპილირებული ფინანსური ანგარიშგებები ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ საბაზისო ჩანაწერებს, დოკუმენტებს, განმარტებებს და სხვა ინფორმაციას. არასრულ, არასწორ ან სხვაგვარად არადამაკმაყოფილებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობისგან გამოითხოვეთ დამატებითი ინფორმაცია.
განხილვა	ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასებებისა და განსჯის/მოსაზრებების განხილვა, რადგანაც ისინი მოცულია კომპილირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში. ნებისმიერი დაუსაბუთებელი შეფასება ან უჩვეულო განსჯა/მოსაზრება, როგორც წესი, უნდა გაირკვეს. დარწმუნდით, რომ უჩვეულო მუხლები სათანადოდ იქნა ჩაწერილი და/ან კლასიფიცირებული. ფინანსური ანგარიშგებების წაკითხვა და დროში-გამიჯვნის ძირითადი პროცედურების განხილვა, იმაში დასარწმუნებლად, რომ მუხლები გატარებულია/აღრიცხულია სწორ პერიოდებში. დადგენა, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგებები პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ შესწავლილ საქმიანობას, და არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებები დამაბნეველი.

პროცედურის სახე	პროცედურის ხასიათი
გარემოებებზე მორგებული	თუ პრაქტიკოს-ბუღალტერმა გარიგების პროცესში გაარკვია, რომ: • კომპილირებული ფინანსური ანგარიშგებები არა-ადეკვატურად მიუთითებს ან აღწერს AFRF-ს; • საჭიროა კომპილირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შესწორებების/ცვლილებების შეტანა, რათა არ იყოს არსებითი უზუსტობები ფინანსურ ანგარიშგებებში; ან • კომპილირებული ფინანსური ანგარიშგებები სხვაგვარად არის დამაბნეველი, მან ხელმძღვანელობას უნდა შესთავაზოს შესწორებების/ცვლილებების შეტანა. ინფორმაციის სიზუსტესთან ან სისრულესთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობიდან მიღებული დამატებითი ინფორმაციის ან/და პასუხების განხილვა, და დადგენა, არის თუ არა პრაქტიკოსი-ბუღალტერი კმაყოფილი იმით, თუ როგორ მოგვარდა ეს პრობლემა.

ზემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული პროცედურები არ შეესაბამება აუდიტის ან მიმოხილვის გარიგების პროცედურებს, და არ მოიცავს დეტალურ პროცედურებს სააღრიცხვო წიგნების და ჩანაწერების ნამდვილობის ან სისრულის შესამოწმებლად. არაპირდაპირი გზით, ასეთი პროცედურები შეიძლება დაეხმაროს პრაქტიკოს-ბუღალტერს პროფესიული ეთიკური მოთხოვნების დაცვაში.

სტანდარტის მოქნილობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დამატებითი დახმარება გაეწიოს კლიენტებს, რომლებმაც მოითხოვეს კომპილაციური გარიგება. მაგალითად, გარიგება შეიძლება გაფართოვდეს და მოიცვას ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებები, როგორცაა საბოლოო საცდელი ბალანსის მომზადება, ან გატარებების მომზადება (წინასწარ) ანგარიშების დახურვამდე (მაგალითად, ანარიცხები, დარიცხვები და ამორტიზაცია). ასეთ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია ხაზგასმით მიეთითოს ხელმძღვანელობას, რომ ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და წარდგენა, მიუხედავად პრაქტიკოს-ბუღალტრის გაზრდილი როლისა გარიგებაში, რჩება მათ პასუხისმგებლობაში. პრაქტიკოს-ბუღალტერმა შეიძლება ასევე განიხილოს გარიგების წერილში მოიცვას/შეიტანოს ამ დამატებითი მომსახურების დეტალები.

კომპილაციური პროცედურის ნიმუში — დებიტორული დავალიანების ანგარიშები

მთავარი წიგნის საცდელი ბალანსი არ არსებობს

საბუღალტრო აღრიცხვის ოპერაცია:

- მოწოდებული ინფორმაციიდან ჩაწერეთ/აღრიცხეთ დებიტორული დავალიანების ანგარიშები

მთავარი წიგნის საცდელი ბალანსი არსებობს

განიხილეთ საქმიანობის ხასიათი:

- რეალიზაცია ნაღდი ფულით თუ კრედიტით?
- უიმედო ვალები?

არსებობს თუ არა იმის საფუძველი, რომ დებიტორული დავალიანების ანგარიშები შეიძლება აღმოჩნდეს არასწორი, არასრული ან სხვაგვარად არადაამაყოფილებელი?

თუ კი

- კლიენტთან გაარკვეეთ დებიტორული დავალიანების ანგარიშები და უიმედო ვალები
- შეამოწმეთ, არის თუ არა შეცდომები
- მოიპოვეთ დებიტორული დავალიანების ანგარიშის ჩამონათვალი და შეადარეთ
- განიხილეთ სალარო ოპერაციების გასაჯაროება
- თუ არასრული, არასწორი, ან სხვაგვარად არადაამაყოფილებელია, შესთავაზეთ შესწორებები, საჭიროებისამებრ

თუ არა

- არანაირი შემდგომი მოქმედება არ არის საჭირო

თუ თქვენ შეისწავლეთ თქვენი კლიენტის საქმიანობის ხასიათი, უკვე იცით, იქნება თუ არა გადაუხდელი დებიტორული დავალიანების ანგარიშები.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

- დავუშვათ, რომ ელექტრო ტექნიკის მენარდემ დებიტორული დავალიანების ანგარიშებზე ასახა დაახლოებით ერთი კვირის შემოსავალი, რაც წინა წელთან შესაბამისობაშია. კომპილაციის სტანდარტებში არ მოითხოვება დებიტორული დავალიანებების ჩამონათვალის მიმოხილვა, თუ ანგარიშზე ნაჩვენები თანხა არ ჩანს დამაბნეველი. თუმცა, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ უიმედო ვალები შეიძლება არსებობდეს, თქვენ უნდა გამოითხოვოთ ეს თანხები და ჩაწეროთ/აღრიცხოთ ისინი.
- დავუშვათ, თქვენი კლიენტი არის სტომატოლოგი, რომლის დებიტორული დავალიანების ანგარიშები აჩვენებს ნოლს. ეს უჩვეულოა. შემდგომი მოქმედება, სავარაუდოდ, აუცილებელია.
- თქვენს კლიენტს აქვს მცირე სასურსათო მაღაზია და მაღაზიის ჩანაწერები დებიტორული დავალიანების ანგარიშზე აჩვენებს ნაშთს 15,000 ლარს. რას აკეთებთ? ამან შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მკითხველები, რადგანაც 15,000 ლარის დებიტორული დავალიანება უჩვეულოა ისეთი ნაღდი ანგარიშსწორების ბიზნესში, როგორიცაა სასურსათო მაღაზია. თქვენ უნდა დააკვირდეთ კლიენტს. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ კლიენტს, რამდენად სწორია ნაშთი. ანდა, თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ კლიენტის მთავარი წიგნი და მოძებნოთ შეცდომები.

კომპილაციური პროცედურის ნიმუში — მარაგი

მთავარი წიგნის საცდელი ბალანსი არ არსებობს

საბუღალტრო აღრიცხვის ოპერაცია:

- ჩაწერეთ/აღრიცხეთ მარაგი

მთავარი წიგნის საცდელი ბალანსი არსებობს

განიხილეთ საქმიანობის ხასიათი:

- მარაგების მოსალოდნელი ხასიათი
- გაყიდვების მოცულობა

არსებობს თუ არა იმის საფუძველი, რომ მარაგი შეიძლება აღმოჩნდეს არასწორი, არასრული ან სხვაგვარად არადამაკმაყოფილებელი?

თუ კი

- განიხილეთ მარაგი კლიენტთან
- შეამოწმეთ, არის თუ არა შეცდომები ოპერაციებში
- შეამოწმეთ კლიენტის მიერ მომზადებული მარაგის აღრიცხვის/დათვლის უწყისები და ხარჯთაღრიცხვა
- ყურადღებით შეამოწმეთ სიზუსტე და შეფასება
- თუ არასრული, არასწორი, ან სხვაგვარად არადამაკმაყოფილებელია, შესთავაზეთ შესწორებები, საჭიროებისამებრ

თუ არა

- არანაირი შემდგომი მოქმედება არ არის საჭირო

არც ისე იშვიათია, როდესაც მცირე ბიზნესის კლიენტს სურს, თავიდან აიცილოს მარაგის აღრიცხვა/დათვა. კომპილაციის დროს, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ კლიენტის მიერ მარაგის შენახვის დანახარჯებზე გაკეთებული/მომზადებული ხარჯთაღრიცხვა, თუ ის არ არის ყალბი ან დამაბნეველი.

რა მოსაზრებებით უნდა იხელმძღვანელოთ ამ სიტუაციაში? რა არის თქვენი პროფესიული ვალდებულება?

- თქვენი ვალდებულებაა, არ გამოიყენოთ ცრუ/ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. გამოიყენეთ პროფესიული განსჯა/მოსაზრება, კითხვა დაუსვით საკუთარ თავს: "საცდელ ბალანსში ამ თანხის გამოყენებით, არსებობს თუ არა რისკი იმისა, რომ მე ვიყენებ ცრუ/ყალბ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას?"
- არსებობს თუ არა მარტივი პროცედურა, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ბალანსის/ნაშთის შესაფასებლად, როგორიცაა, მაგალითად, ჰკითხოთ კლიენტს, როგორ გამოითვალეს ბალანსი/ნაშთი?
- შეგიძლიათ ივარაუდოთ, რომ კლიენტის მიმდინარე წლის მარაგების ხარჯთაღრიცხვა იგივეა, რაც წინა წლისა?

ზოგიერთი პრაქტიკოსი-ბუღალტერი თვლის, რომ, თუ კლიენტს დაუსვამს კითხვებს მარაგების შესახებ, ეს გასცილდება კომპილაციის ფარგლებს. საბოლოო ჯამში, კომპილაციის დროს, თქვენ, უბრალოდ, სვამთ კლიენტის ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების ფორმატში. ნაშთების სიზუსტის არანაირი შემოწმება არ მოითხოვება. ესეც პროფესიული განსჯის/მოსაზრების საკითხია.

მაგრამ, თუ არ ჰკითხავთ კლიენტს, მაშინ, საიდან გეცოდინებათ, რომ ეს არ არის ერთ-ერთი ის წელი, როდესაც მარაგები გახდა იმის ნახევარი, რაც იყო წლის დასაწყისში? ამგვარი საკითხები არის პროფესიული განსჯის/მოსაზრების საკითხი.

კომპილაციური პროცედურის ნიმუში — კრედიტორული ანგარიშები და დარიცხული ვალდებულებები

მთავარი წიგნის საცდელი ბალანსი არ არსებობს

საბუღალტრო აღრიცხვის ოპერაცია:

- ჩაწერეთ/აღრიცხეთ კრედიტორული დავალიანებები და დარიცხული ვალდებულებები

მთავარი წიგნის საცდელი ბალანსი არსებობს

განიხილეთ საქმიანობის ხასიათი, მოსალოდნელი ხასიათი და მოცულობა.

არსებობს თუ არა იმის საფუძველი, რომ კრედიტორული ანგარიშები და დარიცხული ვალდებულებები შეიძლება აღმოჩნდეს არასწორი, არასრული ან სხვაგვარად არაადაამკმაყოფილებელი?

თუ კი	თუ არა
• განიხილეთ კრედიტორული ანგარიშები და დარიცხული ვალდებულებები კლიენტთან • შეამოწმეთ, არის თუ არა შეცდომები ოპერაციებში • შეადგინეთ კრედიტორული ანგარიშებისა და დარიცხული ვალდებულებების სია • შეადარეთ/შეაჯერეთ კრედიტორული ანგარიშები სიას • თუ არასრული, არასწორი, ან სხვაგვარად არაადაამკმაყოფილებელია, შესთავაზეთ შესწორებები, საჭიროებისამებრ	• არანაირი შემდგომი მოქმედება არ არის საჭირო

შესაძლებელია, რომ დარიცხული ვალდებულებების, თუ ისინი არ არის მნიშვნელოვანი, არ-აღრიცხვის შედეგად ანგარიშგებები არ გახდეს ყალბი ან დამაბნეველი/შეცდომაში შემყვანი. ამდენად, თუ თქვენმა კლიენტმა არ მოგაწოდათ მუხლები, როგორიცაა დარიცხული საბუღალტრო გადასახადები ან სხვა დარიცხული თანხები, თქვენ შეგიძლიათ არ შეასწოროთ/ჩაასწოროთ ეს ჩანაწერები. თუმცა, თქვენ შეიძლება ისურვოთ, შეხედოთ კრედიტორული დავალიანების სიას.

განიხილოთ, მაგალითად, საცალო სათამაშო მაღაზია, რომლის წლის დასასრული არის 31 დეკემბერი. მიზანშეწონილია, მოველოდოთ, რომ წლის ყველაზე დატვირთულ დროს, სავაჭრო ოპერაციისას მიღებული იქნებოდა დიდი რაოდენობის საქონელი, რომელზეც არ იქნებოდა დაუყოვნებლივი გადახდის მოთხოვნა. თუ კრედიტორული დავალიანების ანგარიშების ჩამონათვალი ვერ მოიძებნებოდა 30-60 დღის განმავლობაში დასაფარი მომწოდებელთა ანგარიშები, შეიძლება დაეჭვდეთ, არის თუ არა ჩამონათვალი სრული.

ISRS 4410-ში (შესწორებული) არ არის მოთხოვნილი, რომ პრაქტიკოს-ბუღალტერმა გააკეთოს წინა წელთან შედარება. თუმცა, როდესაც საქმიანობა სულ მცირედით შეიცვალა, წინა წლის შედეგების შედარება მიმდინარე წლის შედეგებთან შეიძლება, დაგვეხმაროს იმის გარკვევაში/დადგენაში, არის თუ არა მოგება/ზარალის ანგარიშგების მუხლები შეცდომაში შემყვანი. არ არის აუცილებელი, რომ ყოველი გადახრა ავხსნათ ან დოკუმენტურად გავაფორმოთ, მაგრამ უჩვეულო ცვლილებები უნდა გაირკვეს, თუ ისინი არსებითად უზუსტო არის. იგივე ეხება ანგარიშთა ნაშთებს შორის უჩვეულო კავშირს. მაგალითად, თუ გაყიდული საქონლის ღირებულება აღემატება შემოსავლებს, შემდგომმა მოკვლევამ შეიძლება გამოავლინოს, რომ მარაგი არასწორია ან გარკვეული გაყიდვები არ იქნა აღრიცხული.

პარაგრაფი	მოთხოვნა
37	პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა მიიღოს ხელმძღვანელობიდან ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებიდან დადასტურება, რომ ისინი იღებენ პასუხისმგებლობას კომპილირებული ფინანსური ინფორმაციის საბოლოო ვერსიაზე. (იხ: პარაგრაფი A62)

პრაქტიკოს-ბუღალტერმა, კომპილაციური გარიგების დასრულებისას, სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს იმ პროცესს, რომელსაც სამეურნეო ერთეული იყენებს ხელმძღვანელობის ან TCWG-ს მიერ ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებისას. ფინანსური ანგარიშგებების ხასიათისა და მიზნის გათვალისწინებით, შეიძლება არსებობდეს დამტკიცების დადგენილი პროცესი, რომელიც უნდა დაიცვას ხელმძღვანელობამ ან TCWG-მ, ან რომელიც დადგენილია შესაბამისი კანონით ან რეგულაციით, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და დასრულების მიზნით.

5.2 განიხილეთ მიღებული ფინანსური ანგარიშგებები

პარაგრაფი	მოთხოვნა
31	კომპილაციური გარიგების დასრულებამდე, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა წაიკითხოს კომპილირებული ფინანსური ინფორმაცია და პარალელი გაავლოს (ანალიზი გააკეთოს (რამდენად შესაბამისობაშია)) პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ შესწავლილ სამეურნეო ერთეულის საქმიანობასა და ოპერაციებთან, ასევე მოქმედ ფინანსურ ანგარიშგების ჩარჩოებთან. (იხ: პარაგრაფი A46)
33	თუ პრაქტიკოსი-ბუღალტერი ვერ ასრულებს/ამთავრებს გარიგებას, რადგან ხელმძღვანელობამ ვერ მიაწოდა ჩანაწერები, დოკუმენტები, ახსნა-განმარტებები ან სხვა ინფორმაცია, მათ შორის, მნიშვნელოვანი განსჯები/მოსაზრებები, როგორც მოთხოვნილი იყო, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა შეწყვიტოს/უარი თქვას გარიგებაზე და შეატყობინოს ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ამის მიზეზი. (იხ: პარაგრაფი A52)

5.2-1 საჭირო/აუცილებელი შესწორებების/ცვლილებების შეტანა, თუ გარიგებიდან გასვლა

პარაგრაფი	მოთხოვნა
34	თუ გარიგების პროცესში პრაქტიკოსი-ბუღალტერი აღმოაჩენს, რომ: (ა) კომპილირებული ფინანსური ინფორმაცია არა-ადეკვატურად მიუთითებს ან აღწერს მოქმედ ფინანსურ ანგარიშგების ჩარჩოს/საფუძველს; (იხ: პარაგრაფი A47) (ბ) კომპილირებულ ფინანსურ ინფორმაციაში საჭირო/აუცილებელია შესწორების/ცვლილებების შეტანა, რათა ფინანსური ინფორმაცია არ იყოს არსებითად უზუსტო/არასწორი; ან (Ref: Para. A48–A50) (გ) კომპილირებული ფინანსური ინფორმაცია არის სხვაგვარად დამაბნეველი/შეცდომაში შემყვანი, (იხ: პარაგრაფი A51) პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა შესთავაზოს ხელმძღვანელობას სათანადო შესწორებების/ცვლილებების შეტანა.
35	თუ ხელმძღვანელობა უარს იტყვის, ან არ მისცემს პრაქტიკოს-ბუღალტერს უფლებას/საშუალებას, შესაბამისი შესწორებები/ცვლილებები შეიტანოს კომპილირებულ ფინანსურ ინფორმაციაში, პრაქტიკოსი-ბუღალტერი უნდა გამოვიდეს გარიგებიდან და შეატყობინოს ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ამის (გარიგებიდან გამოსვლის) მიზეზები. (იხ: პარაგრაფი A52)
36	თუ შეუძლებელია გარგებიდან გამოსვლა, პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა მოიხსნას ამ გარემოებებთან დაკავშირებული პროფესიული და სამართლებრივი პასუხისმგებლობები.

კომპილაციური გარიგების პროცედურების შესრულების დროს, როდესაც პრაქტიკოსი-ბუღალტერი იყენებს პროფესიულ განსჯას/მოსაზრებას, შეიძლება მისთვის ცნობილი გახდეს ინფორმაცია, რომელიც პრაქტიკოსი-ბუღალტრის აზრით არის არსებითად უზუსტო ან დამაბნეველი/შეცდომაში შემყვანი, AFRF-ის კონტექსტში. ასეთ ვითარებაში, პრაქტიკოსი-ბუღალტერმა უნდა მოითხოვოს აუცილებელი შესწორებების/ცვლილებების შეტანა, რათა ფინანსური ინფორმაცია სწორად იყოს წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებებში.

როდესაც გარიგებიდან გასვლა აუცილებელია/საჭიროა, რადგან ხელმძღვანელობამ უარი თქვა ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად წარდგენის ფინანსური ინფორმაცია, პრაქტიკოსი-ბუღალტერი პასუხისმგებელია, აცნობოს ხელმძღვანელობას და TCWG-ს გარიგებიდან გასვლის მიზეზების შესახებ, რაც მას, ასევე, საშუალებას მისცემს, აუხსნას თავისი ეთიკური ვალდებულებები გარიგების პირობებიდან გამომდინარე.

5.2-2 ზედამხედველობა და მიმოხილვა

ISRS 4410-ის (შესწორებული), პუნქტი 23 (iv)-ში აღნიშნულია, რომ გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად მართოს, უზედამხედველოს და შეასრულოს კომპილაციური გარიგება.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესრულებული სამუშაო შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს, ფირმებმა უნდა შეიმუშავონ ხარისხის კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებშიც მოთხოვნილია, რომ ნაკლებად გამოცდილი გარიგების გუნდის წევრების მუშაობას ზედამხედველობას და გადამოწმებას/შემოწმებას უნდა უწევდეს უფრო გამოცდილი გარიგების გუნდის წევრი.

SMP გარემოში, ინდივიდუალური პრაქტიკოსი-ბუღალტერი შეიძლება მარტო მუშაობდეს, და არა გუნდთან ერთად. ასეთ ვითარებაში, ეს მოთხოვნა არ იქნებოდა რელევანტური. უფრო მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ IAASB-ის [Staff Questions & Answers – Applying ISQC 1 Proportionately with the Nature and Size of a Firm \(პერსონალის მიერ დასმული კითხვები და პასუხები - ISQC 1-ის გამოყენება ფირმის ხასიათისა და მოცულობის პროპორციულად\)](#).

ISQC 1-ში, მხოლოდ EQCR-სთვის (გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა) არის დადგენილი სამუშაო დოკუმენტების განხილვის/შემოწმების ტიპები. შედარებით-დაბალი-რისკის გარიგებებში, პრაქტიკოს-ბუღალტერს შეუძლია, შეასრულოს სამუშაო და შემდგომ გადახედოს/შეამოწმოს შესრულებული სამუშაო.

5.3 დოკუმენტაცია

პარაგრაფი	მოთხოვნა
38	გარიგების დოკუმენტაციაში პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა შეიტანოს: (იხ: პარაგრაფები A53-A55) (ა) კომპილაციური გარიგების დროს წარმოქმნილი მნიშვნელოვანი საკითხები და როგორ მოაგვარა ეს საკითხები პრაქტიკოს-ბუღალტერმა; (ბ) ჩანაწერი, თუ როგორ შეესაბამება/ედრება კომპილირებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ძირითად ჩანაწერებს, დოკუმენტებს, ახსნა-განმარტებებს და სხვა ინფორმაციას; და (გ) კომპილირებული ფინანსური ინფორმაციის საბოლოო ვერსიის ასლი, რომელზეც ხელმძღვანელობამ ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა, როგორც წესი, აიღეს პასუხისმგებლობა, ასევე პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიში. (იხ: პარაგრაფი A62)

5.3-1 დოკუმენტაცია

ძირითადი პრინციპები, რომლებიც გასათვალისწინებელია ფაილის დოკუმენტაციის მომზადებისას; დარწმუნდით, რომ:

- ის არის კარგად ორგანიზებული (საუკეთესო შემთხვევაში, გამოიყენეთ სტანდარტული ფაილის ინდექსირება);
- გააჩნია ჯვარედინი მითითებები;
- ის არის გასაგები და ზუსტი; და
- არ საჭიროებს დამატებით სიტყვიერ ახსნა-განმარტებებს:
 - შესრულებულ სამუშაოზე; და
 - სამუშაოს შედეგებზე, ასევე წარმოქმნილ მნიშვნელოვან საკითხებზე, და თუ როგორ მოგვარდა ისინი კომპილაციური გარიგების დროს.

დანართი 5.3-1A

ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც პრაქტიკოს-ბუღალტერმა შეიძლება მოამზადოს, წარმოდგენილია შემდეგ დანართში.

პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ მომზადებული ინფორმაცია	
მომზადება	• შესასრულებელი გარიგების ხასიათი და დადგენილი ვადები, და ა.შ. • ხელმოწერილი გარიგების წერილი.
სამეურნეო ერთეულის შესწავლა	• რომელი AFRF გამოიყენება.
დაგეგმარება	• მომავალში კომპილაციური გარიგების გაგრძელების მნიშვნელობის საკითხები. • დაგეგმილი მოკვლევის ჩამონათვალი.

შესრულებული სამუშაო	• ნებისმიერი შერჩეული და შესრულებული პროცედურიდან მიღებული შედეგები. ეს შეიძლება მოიცავდეს: ◦ ვინ შეასრულა სამუშაო და თარიღი, როდესაც დასრულდა სამუშაო; ◦ სამეურნეო ერთეულის პერსონალის სახელები, ვისთანაც მოხდა გასაუბრება და საუბრის დრო/თარიღი (საჭიროების შემთხვევაში); ◦ საუბრის დეტალები, წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხები, ამ საკითხების ხასიათი, და როგორ მოგვარდა ისინი (საჭიროების შემთხვევაში); და ◦ პროცედურებიდან მიღებული შედეგები, მათ შორის, არსებითი გადახრების და უჩვეულო მუხლების შესახებ მოწოდებული ახსნა-განმარტებები. • ფინანსურ ანგარიშგებებში შეტანილი შესწორებების/ცვლილებების ჩამონათვალი, მათ შორის ნებისმიერი მაკორექტირებელი ჩანაწერი ან სხვა შეტანილი შესწორება/ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელიც პრაქტიკოს-ბუღალტერმა შეათანხმა ხელმძღვანელობასთან გარიგების პროცესში. • ჩანაწერი, თუ როგორ ედრება კომპილირებული ინფორმაცია ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ძირითად დოკუმენტებს, განმარტებებს და სხვა ინფორმაციას (მაგალითად, გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ედრება საცდელ ბალანსს კომპილირებული ფინანსური ანგარიშგება).
ანგარიში	• პრაქტიკოს-ბუღალტრის ანგარიშის ასლი. • ხელმძღვანელობის მხრიდან მისი დამტკიცება.

დოკუმენტების/ფაილის სტრუქტურა

არ არსებობს არანაირი დადგენილი მეთოდი გარიგების ფაილების/დოკუმენტების ორგანიზებისთვის. თუმცა, ბევრი ფირმა, თითოეული პერიოდისთვის, როცა მოხდა შემოწმება/მიმოხილვა, ამზადებს ახალ გარიგების ფაილს, ასევე ინახავს მუდმივ ფაილს, სადაც არის საძიებო მასალა, რომელიც ახლდება საჭიროებისამებრ.

5.3-2 დოკუმენტების/ფაილების შეკრება/კომპლექტი


ISQC 1-ში მოთხოვნილია, ფირმებს დადგენილი ჰქონდეთ დროის ლიმიტები (ვადები), რომელიც მიუთითებს იმის აუცილებლობას, რომ დროულად უნდა იქნას გარიგების საბოლოო ფაილები შეკრებილი/თავმოყრილი. მაგალითად, ფაილების საბოლოო შეკრების/თავმოყრის ვადად შეიძლება დადგინდეს გარიგების ანგარიშის წარდგენის თარიღიდან 60-დღიანი პერიოდი.

გასათვალისწინებელი მითითება

საბოლოო შეკრების/თავმოყრის ვადის შეზღუდვა დამოკიდებულია მხოლოდ ადმინისტრაციულ საკითხებზე. კომპილაციური ანგარიშის მხარდასაჭერად საჭირო ინფორმაციის მიღება მოხდება, ანგარიშის დათარიღებამდე და გამოქვეყნებამდე.

6

ანგარიშგება/რეპორტინგი



ამ თავის შინაარსი

- როგორ შევადგინოს კომპილაციური ანგარიში საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებებისთვის.
- კომპილაციური ანგარიშის ელემენტების შესწავლა.

6.1 ანგარიშის შედგენა	6.2 ანგარიშის ფორმულირება
6.1-1 ანგარიშის ხასიათის აღწერა/გადმოცემა 6.1-2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება	6.2-1 ანგარიშის დათარიღება
შედეგი	
ფინანსურ ანგარიშგებებზე მოამზადეთ კომპილაციური ანგარიში, რომელიც სათანადოდ იქნება ფორმულირებული.	

6.1 ანგარიშის შედგენა

კომპილაციური გარიგების შესრულების საბოლოო ნაბიჯი არის სათანადოდ ფორმულირებული ანგარიშის შედგენა.

6.1-1 გარიგების ხასიათის აღწერა/გადმოცემა

პარაგრაფი	მოთხოვნა
39	პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშის არსებითი მიზანია გასაგებად/ნათლად აღწეროს/გადმოსცეს კომპილაციური გარიგების ხასიათი, ასევე პრაქტიკოსი-ბუღალტრის როლი და პასუხისმგებლობა ამ გარიგებაში. პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშის საშუალებით არ ხდება, არანაირი ფორმით, მოსაზრების გამოხატვა ან დასკვნის გაკეთება ფინანსურ ინფორმაციაზე.

ბევრი საბუღალტრო ფირმა იყენებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის და ინფორმაციის გასაჯაროების საკონტროლო სიას/ჩამონათვალს, რათა დარწმუნდეს, რომ AFRF-ის ყველა მოთხოვნა შესრულებულია. საჭიროების შემთხვევაში, ეს საკონტროლო სიები მორგებული უნდა იყოს ქვეყანაზე, მრეწველობაზე/დარგზე და კლიენტზე.

ხშირ შემთხვევაში, AFRF იქნება კონკრეტულ ქვეყანაზე მორგებული; თუმცა, თუ მცირე- და საშუალო-ზომის საწარმოების IFRS გამოიყენება, ზოგიერთი სტანდარტი და საილუსტრაციო ფინანსური ანგარიშგებები, ასევე გასაჯაროებული ინფორმაციის საკონტროლო სია (ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე) შეიძლება გადმოტვირთოთ/გადმოიწეროთ IFRS-ის ვებგვერდიდან: [Access the IFRS for SMEs](#).

6.1-2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები

თუ ფინანსური ანგარიშგებები მზადდება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოსთვის, ჩარჩოს დეტალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ გარიგების მხარესთვის და პრაქტიკოს-ბუღალტრისთვის.

ასეთ სიტუაციებში, მნიშვნელოვანია, აღწეროთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო, რადგანაც [სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები](#) შეიძლება არ გამოდგეს ნებისმიერი დანიშნულებისთვის/მიზნისთვის, და გამოდგეს მხოლოდ იმ დანიშნულებისთვის/მიზნისთვის, რომელიც გათვალისწინებული იყო გარიგების დასაწყისში.

თუ ფინანსური ანგარიშგებები არის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები, ახსნა-განმარტებითი პარაგრაფი დაემატება, სადაც:

- აღწერილია ის მიზანი, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგებები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სავარაუდო/კონკრეტული მომხმარებლები, ან შეიცავს მინიშნებას/მითითებას ფინანსურ ანგარიშგებებში არსებულ შენიშვნაზე/ჩანაწერზე/სქოლიოზე, რომელშიც გასაჯაროებულია ეს ინფორმაცია; და
- ანგარიშის მკითხველთა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ჩარჩოს შესაბამისად და, შედეგად, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის/დანიშნულებისთვის.

ამას შეიძლება დაერთოს დამატებითი პუნქტი, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიში უნდა გავრცელდეს და გამოყენებული იქნას მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელთა მიერ.

პარაგრაფი	მოთხოვნა
	კომპილაციურ გარიგებაზე, პრაქტიკოსი-ბუღალტრის მიერ გაცემული ანგარიში უნდა იყოს წერილობითი ფორმის და უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: (იხ: პარაგრაფები A56–A57, A63)
	(ა) ანგარიშის დასახელებას;
	(ბ) ადრესატს(-ებს), როგორც მოთხოვნილია გარიგების პირობების მიხედვით; (იხ: პარაგრაფი A58)
	(გ) განცხადებას, რომ პრაქტიკოსი-ბუღალტერმა ფინანსური ინფორმაციის კომპილირება მოახდინა ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;
	(დ) ხელმძღვანელობის, ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების, პასუხისმგებლობების აღწერას, როგორც წესი, კომპილაციურ გარიგებასთან და ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
	(ე) მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს იდენტიფიცირებას და, თუ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო გამოიყენება, მის აღწერას ან მითითებას, სად არის აღწერილი ეს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო ფინანსურ ინფორმაციაში;
	(ვ) ფინანსური ინფორმაციის იდენტიფიკაციას, მათ შორის, ფინანსური ინფორმაციის თითოეული ელემენტის დასახელებას, თუ იგი მოიცავს ერთზე მეტ ელემენტს, და ფინანსური ინფორმაციის თარიღს ან პერიოდს, რომელსაც იგი უკავშირდება;
	(ზ) პრაქტიკოსი-ბუღალტრის პასუხისმგებლობებს კომპილირებულ ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებაში, რომ გარიგება შესრულდა ამ ISRS-ის შესაბამისად, და რომ პრაქტიკოსი-ბუღალტერმა დაიცვა შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები;
	(თ) აღწერას, თუ რას გულისხმობს კომპილაციური გარიგება ამ ISRS-ის შესაბამისად;
	(ი) განმარტებებს, რომ:
40	(i) რადგანაც კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, პრაქტიკოსი-ბუღალტრის არ მოეთხოვება, შეამოწმოს ხელმძღვანელობის მიერ (კომპილაციისთვის) მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე ან სისრულე; და
	(ii) შესაბამისად, პრაქტიკოსი-ბუღალტერი არ გამოხატავს აუდიტორულ მოსაზრებას და არც მიმოხილვის დასკვნას აკეთებს იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს შესაბამისად.
	(კ) თუ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს შესაბამისად, განმარტებით პარაგრაფს, სადაც: (იხ: პარაგრაფები A59–A61)
	(i) აღწერილია ის მიზანი, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ინფორმაცია და, საჭიროების შემთხვევაში, მოსალოდნელი/კონკრეტული მომხმარებლები, ან შეიცავს მითითებას ფინანსურ ინფორმაციაში არსებულ შენიშვნაზე/ჩანაწერზე, სადაც გასაჯაროებულია/გახსნილია ეს ინფორმაცია; და
	(ii) ანგარიშის მკითხველთა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ჩარჩოს შესაბამისად და, შედეგად, ინფორმაცია სხვა მიზნებისთვის/დანიშნულებისთვის შეიძლება არ იყოს შესაფერისი;
	(ლ) პრაქტიკოსი-ბუღალტრის ანგარიშის თარიღი;
	(მ) პრაქტიკოსი-ბუღალტრის ხელმოწერა; და
	(ნ) პრაქტიკოსი-ბუღალტრის მისამართი.

ზოგადი მოთხოვნაა, რომ თუ შესრულებული კომპილაცია არ შეესაბამება ISRS 4410-ის (შესწორებული) ფარგლებში მოცემულ სტანდარტებს, პრაქტიკოსი-ბუღალტერი ვერ წარმოადგენს ISRS-ის შესაბამისობას კომპილაციური გარიგების ანგარიშში.

კომპილაციური ანგარიშის სტანდარტული ფორმულირება უზრუნველყოფს/იძლევა თანმიმდევრულობას და გადმოსცემს, რომ ფინანსური ანგარიშგებების კომპილაცია ჩატარდა მსოფლიო მასშტაბით აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევებში, როდესაც ანგარიშის ფორმულირება ადგილობრივად არის დაწესებული/დადგენილი, პრაქტიკოსი-ბუღალტერს მაინც სთავაზობენ/ურჩევენ, გამოიყენოს ISRS 4410-ის (შესწორებული) მოთხოვნები (საანგარიშგებო მოთხოვნების ჩათვლით) რამდენადაც შესაძლებელია. თუმცა, ამ შემთხვევაში, პრაქტიკოსი-ბუღალტერი ვერ განაცხადებს ანგარიშში ISRS 4410-ის (შესწორებული) შესაბამისობაში ყოფნას.

პრაქტიკოსი-ბუღალტრის ხელმოწერა

ხელმოწერა შეიძლება იყოს პრაქტიკოსი-ბუღალტრის ფირმის სახელი, ინდივიდუალური პრაქტიკოსი-ბუღალტრის პირადი სახელი, ან ორივე, როგორც მიღებულია, კონკრეტულ იურისდიქციაში. ზოგიერთ იურისდიქციაში შესაძლოა იყოს დამატებითი მოთხოვნებიც.

გასათვალისწინებელი მითითება

ზოგიერთი ფირმა, კომპილაციური გარიგების ანგარიშისთვის, იყენებს საფირმო ბლანკს და თვლის (რადგან ის შეიცავს ფირმის მისამართს), რომ ანგარიში შეესაბამება მოთხოვნებს. თუმცა, ეს შეიძლება არ იყოს მისაღები, რადგან ფაქტიური მოთხოვნა არის, თავად ანგარიშში გასაჯაროვდეს ადგილმდებარეობა იურისდიქციაში, სადაც პრაქტიკოსი-ბუღალტერი ეწევა პრაქტიკას.

6.2-1 ანგარიშის დათარიღება

პარაგრაფი მოთხოვნა

41

ამ ISRS- ის შესაბამისად, პრაქტიკოს-ბუღალტერმა ანგარიში უნდა დაათარილოს იმ თარიღით (უნდა მიუთითოს ის თარიღი), როდესაც დაასრულა კომპილაციური გარიგება. (იხ: პარაგრაფი A62)

სამეურნეო ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის და დასრულებისათვის შეიძლება არსებობდეს დამტკიცების დადგენილი/დაწესებული პროცესი, რომელიც უნდა იქნას დაცული, ან ის დადგენილია მოქმედი კანონით და რეგულაციით. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ანგარიშის დათარიღების დაგვიანებამ შეიძლება გამოიწვიოს შემდგომი მოვლენების გამოვლინება, რომლებიც უნდა იქნას განხილული და/ან შეიძლება გამოიწვიოს შემდგომი საჭირო/აუცილებელი კორექტირებები.

დანართები

ამ სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინების აღწერა

ISRS 4410-ში (შესწორებული) შეტანილია შემდეგი ტერმინები და აღწერილობა.

ტერმინი	აღწერა
<u>გამოყენებადი/მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები</u>	ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები, რომელიც მიღებულია ხელმძღვანელობის მიერ და, საჭიროების შემთხვევაში, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მიერ, ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელიც დასაშვებია/მისაღებია სამეურნეო ერთეულის ხასიათისა და ფინანსური ინფორმაციის მიზნების თვალსაზრისით, ან რომელიც მოითხოვება კანონით ან რეგულაციით.
<u>გარიგების პარტნიორი</u>	პარტნიორი ან სხვა პირი ფირმაში, რომელიც პასუხისმგებელია გარიგებისა და მისი შესრულებისთვის, და იმ ანგარიშისთვის, რომელიც გაიცემა ფირმის სახელით, და რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, აქვს შესაბამისი უფლებამოსილება პროფესიული, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან.
<u>გარიგების გუნდი</u>	ყველა პარტნიორი და თანამშრომელი, რომელიც ასრულებს გარიგებას, და ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულია ფირმის ან ქსელური ფირმის მიერ, და რომელიც ასრულებს გარიგების პროცედურებს. ეს გამორიცხავს გარე ექსპერტებს, რომლებიც დაქირავებულია ფირმის ან ქსელური ფირმის მიერ.
<u>უზუსტობა</u>	ფინანსურ ინფორმაციაში წარდგენილი მუხლის თანხის ოდენობას, კლასიფიკაციას, წარდგენას ან გასაჯაროებასა და მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს შესაბამისად მოთხოვნილი იმავე მუხლის თანხის ოდენობას, კლასიფიკაციას, წარდგენას ან გასაჯაროებას შორის (არსებული) განსხვავება. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას შეცდომის ან თაღლითობის შედეგად. როდესაც ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია სამართლიანი წარდგენის ჩარჩოს/საფუძვლების შესაბამისად, უზუსტობები ასევე მოიცავს თანხების, კლასიფიკაციების, წარდგენის ან გასაჯაროების იმ კორექტირებებსაც, რომელიც პრაქტიკოსი-ბუღალტრის განსჯით/მოსაზრებით, აუცილებელია იმისთვის, რომ ფინანსური ინფორმაცია სამართლიანად იყოს წარდგენილი, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ანდა იძლეოდეს უტყუარ და სამართლიან ხედვას.
<u>პრაქტიკოსი-ბუღალტერი</u>	პროფესიონალი ბუღალტერი საჯარო პრაქტიკაში, რომელიც ატარებს კომპილაციურ გარიგებას. ტერმინი მოიცავს გარიგების პარტნიორს ან გარიგების გუნდის (ასევე, ფირმის) სხვა წევრებს. თუ ეს ISRS პირდაპირ გულისხმობს, რომ მოთხოვნა ან პასუხისმგებლობა უნდა შესრულდეს გარიგების პარტნიორის მიერ, მაშინ გამოიყენება ტერმინი "გარიგების პარტნიორი" და არა "პრაქტიკოსი-ბუღალტერი". "გარიგების პარტნიორი" და "ფირმა" წაკითხული უნდა იქნას, როგორც საჯარო სექტორის ეკვივალენტები (სადაც რელევანტურია).
<u>შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები</u>	კომპილაციური გარიგების შესრულებისას გარიგების გუნდი ექვემდებარება ეთიკურ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები, ჩვეულებრივ, მოიცავს ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული <i>პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის</i> (the International Ethics Standards Board for Accountants' Code of Ethics for Professional Accountants) A და B ნაწილებს (გარდა სექცია 290-ისა, დამოუკიდებლობა - აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებები, და სექცია 291-ისა, დამოუკიდებლობა - სხვა მარწმუნებელი გარიგებები B ნაწილში), ეროვნულ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც უფრო რესტრიქტიულია.

სხვა ტერმინები

გარდა ზემოთხსენებული ISRS 4410-ის (შესწორებული) მე-17 პარაგრაფში აღწერილი ტერმინებისა, ამ სახელმძღვანელოში გამოყენებული იყო სხვა ტერმინებიც.

ISQC 1-ის, ISA-ების და ISRE 2400-ის ტერმინების ლექსიკონში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები და აღწერა.

ტერმინი (წარმო)	აღწერა
<u>საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება</u>	საერთო დანიშნულების ჩარჩოს/საფუძვლების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.
<u>საერთო დანიშნულების ჩარჩო/საფუძვლები</u>	ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები, რომელიც განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო სპექტრის საერთო ფინანსური საჭიროებების/მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები შეიძლება იყოს სამართლიანი წარდგენის ჩარჩო/საფუძვლები ან შესაბამისობის ჩარჩო/საფუძვლები.
<u>არსებითობა</u> (ISA 200.6)	უზუსტობები, მათ შორის დაუდევრობები, ითვლება არსებითად, თუ მათ, ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში, შეუძლია (და მოსალოდნელია) გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ისინი იღებენ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.
<u>პროფესიული განსჯა/მოსაზრება</u>	რწმუნების, ბუღალტრული აღრიცხვის და ეთიკის სტანდარტების კონტექსტში, სათანადო ტრენინგის, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, სამუშაო პროცესის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც შესაბამისია/მართებულია კომპილაციური გარიგების აღნიშნულ გარემოებებში.
<u>სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები</u>	სპეციალური დანიშნულების ჩარჩოს/საფუძვლების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

კლიენტის მიღება/გაგრძელების საკონტროლო ჩამონათვალი

PSC? = პროცედურა წარმატებით დასრულდა?

Y/N = დიახ/არა

	პასუხები და კომენტარები	იხ. სამუშაო დოკუმენტები	PSC? (Y/N) (ინიციალები)
1. ხარისხის კონტროლი ამ გარიგების მიღება ეწინააღმდეგება ფირმის ხარისხის კონტროლის რომელიმე პოლიტიკას?			
2. ხელმძღვანელობის პატიოსნება მოიკვლიეთ მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ხელმძღვანელობის ან TCWG-ს პატიოსნებას. განიხილეთ: • კარგი რეპუტაცია აქვს კლიენტს? • შეიძლება თუ არა, მოწოდებული ინფორმაცია იყოს გამიჯნულად არასწორი, არასრული, ან შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებლები?			
3. წინამორბედი ბუღალტერი • რა მიზეზები დაასახელა ბუღალტერთა შეცვლის თაობაზე სავარაუდო კლიენტმა? • უკანასკნელ პერიოდში, თქვეს თუ არა უარი სხვა ბუღალტრებმა სავარაუდო კლიენტის სამსახურზე? თუ კი, ახსენით რატომ. • შემოწმდა თუ არა წინამორბედის სამუშაო დოკუმენტები? თუ კი, აღწერეთ ნებისმიერი იდენტიფიცირებული საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს გარიგების მიღებაზე.			
4. ფინანსური ანგარიშგებების მიზანი და დანიშნულება განიხილეთ შემდეგი: • არის თუ არა კომპილირებული ინფორმაციის სავარაუდო დანიშნულება შესაფერისი? • არის თუ არა AFRF შესაბამისი აღნიშნულ გარემოებებში?			
5. ფირმის კომპეტენციები აქვს თუ არა ფირმას საჭირო/აუცილებელი რესურსები გარიგების დასრულებისთვის? განიხილეთ: • არის თუ არა ფირმაში შესაბამისი გამოცდილების მქონე და დარგის მცოდნე პერსონალი. • არის თუ არა სათანადოდ კვალიფიცირებული EQCR (სადაც მოთხოვნილია ფირმის ხარისხის კონტროლის პოლიტიკის შესაბამისად).			
6. გარიგების პირობები • მოამზადეთ გარიგების წერილი და ხელი მოაწერეთ, ასევე დარწმუნდით, რომ არსებული ვერსია ჯერ კიდევ მოქმედებს/ძალაშია. • კლიენტთან განიხილეთ გარიგების პირობები. • იცის თუ არა კლიენტმა ფირმის შეზღუდული პასუხისმგებლობების შესახებ ფინანსური ანგარიშგებების კომპილაციასთან მიმართებაში? • დაწრმუნებულია თუ არა ფირმა, რომ არ არსებობს არანაირი მიზეზი იმისა, რის გამოც არ უნდა მივიღოთ კლიენტი?			
7. სხვა აუცილებელი პროცედურები (დააკონკრეტეთ)			

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეს გარიგება უნდა შეფასდეს შემდეგნაირად (შემოხაზეთ ერთერთი):			
დაბალი რისკის	საშუალო რისკის	მაღალი რისკის	მიუღებელია
კომენტარები:			
საჭირო/აუცილებელი იქნება თუ არა ამ გარიგებაში EQCR (გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი)?			
დიახ		არა	
მე გავეცანი ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხებს და ვეთანხმები დასკვნას.			
მოამზადა: _____		თარიღი: _____	
მიმოიხილა: _____		თარიღი: _____	

გარიგების წერილის ნიმუში

შენიშვნა: ამ წერილის ნიმუში ეფუძნება იმ ნიმუშს, რომელიც მოცემულია ISRE 4410-ში (შესწორებული). დამატებითი მასალა, რომელიც შევიდა ამ წერილში, არის დახრილი/კურსივრეული და მოცემულია ფრჩხილებში.

[ბლანკი]

[თარიღი]

ვის: [ხელმძღვანელობის ან TCWG-ს შესაბამის წარმომადგენელს, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება სამეურნეო ერთეულის სახელით მოაწეროს ხელი]

[პირი,

სამეურნეო ერთეულის დასახელება,

მისამართი (ქუჩა, ქალაქი, ქვეყანა)]

მეირფასო _____:

თქვენ გვთხოვეთ, გაგვეწია თქვენთვის შემდეგი მომსახურება:

იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც თქვენ მოგვაწვდით, ჩვენ დაგეხმარებით [სამეურნეო ერთეულის დასახელება]-ის შემდეგი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაში: [სამეურნეო ერთეულის დასახელება]-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება [20XX წლის 31 დეკემბრის] მდგომარეობით და მოგება/ზარალის ანგარიშგება წლის დასასრულისთვის, წინა პერიოდების ღირებულების საფუძველზე, რომელშიც ასახული იქნება ყველა ფულადი ტრანზაქცია, ასევე სავაჭრო კრედიტორული ანგარიშები, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები მინუს საეჭვო/უიმედო ანგარიშების ანარიცხები, მარაგი აღრიცხული იქნება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით, მიმდინარე საშემოსავლო გადასახადები საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით და მნიშვნელოვანი ხანგრძლივი მოხმარების/გრძელვადიანი აქტივების კაპიტალიზაცია წინა პერიოდების ღირებულებით, გამოყენებული იქნება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. ამ ფინანსურ ანგარიშგებებში არ იქნება ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, მოცემული იქნება მხოლოდ შენიშვნა, სადაც აღწერილი იქნება ამ გარიგების წერილში წარმოდგენილი აღრიცხვის მეთოდი.

ფინანსური ანგარიშგებების გამოყენების/დანიშნულების მიზანია სრული წლის ფინანსური ინფორმაციის მოწოდება, რომელშიც ნაჩვენებია იქნება სამეურნეო ერთეულის ფინანსური მდგომარეობა [20XX წლის 31 დეკემბრის] ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის და ფინანსური შედეგები წლის დასასრულისთვის. ფინანსური ანგარიშგებები გათვლილია იმაზე, რომ მხოლოდ თქვენს მიერ იყოს გამოყენებული და არ იქნება გადაცემული სხვა მხარეებისთვის.⁶

ჩვენი პასუხისმგებლობები

კომპილაციური გარიგება მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების სფეროში ჩვენი გამოცდილების გამოყენებას, რათა დაგეხმაროთ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაში. რადგანაც კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ მოგვეთხოვება, შევამოწმოთ თქვენს მიერ, კომპილაციური გარიგებისთვის, მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე ან სისრულე, ან მოვიპოვოთ მტკიცებულებები, რათა გამოვთქვათ აუდიტორის მოსაზრება ან გააკეთოთ მიმოხილვის დასკვნა. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ აუდიტორის მოსაზრებას და არ ვაკეთებთ მიმოხილვის დასკვნას, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული იმ სააღრიცხვო მეთოდით, რომელიც თქვენ მიუთითეთ და როგორც ზემოთ არის აღწერილი.

ჩვენ შევასრულებთ კომპილაციურ გარიგებას დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების (ISRS) 4410-ის (შესწორებული), კომპილაციური გარიგებები, შესაბამისად. ISRS 4410-ში (შესწორებული) მოთხოვნილია, რომ ამ გარიგების განხორციელებისას, ჩვენ უნდა დავიცვათ შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის, პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის, და სათანადო გულისხმიერების პრინციპები. ამ მიზნით, ჩვენ მოგვეთხოვება, დავიცვათ პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს (IESBA Code) მიერ მოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი.

⁶ ალტერნატიული შესავალის პუნქტი:

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ დაგეხმარებით შემდეგი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაში, როგორც ეს მოთხოვნილია [მიუთითეთ კანონმდებლობა]-ის მიერ, [20XX წლის 31 დეკემბრის] მდგომარეობით [ორგანიზაციის სახელი]-თვის და/ან [2010 წლის 31 დეკემბრის] მდგომარეობით [ორგანიზაციის სახელი]-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, და მოგება/ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებები წლის დასასრულისთვის. ფინანსური ანგარიშგებები გათვლილია იმაზე, რომ მხოლოდ თქვენს მიერ იყოს გამოყენებული და არ გადაეცემა სხვა მხარეებს.

თქვენი პასუხისმგებლობები

შესასრულებელი კომპილაციური გარიგება ჩატარდება იმის საფუძველზე, რომ თქვენ აცნობიერებთ და იცით, რომ ჩვენი როლი არის, დაგეხმაროთ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაში თქვენს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს/საფუძვლების შესაბამისად. შესაბამისად, თქვენ გაქვთ სრული პასუხისმგებლობა (ჩამოთვლილია ქვემოთ), რომელიც ფუნდამენტურია, რათა აღნიშნული კომპილაციური გარიგება შევასრულოთ/განვახორციელოთ ISRS 4410-ის (შესწორებული) შესაბამისად:

(ა) პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე, ასევე ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს/საფუძვლების შესაბამისად მათ მომზადებასა და წარდგენაზე, რომელიც მისაღება ფინანსური ანგარიშგებების დანიშნულებისამებრ გამოყენების და სავარაუდო/კონკრეტული მომხმარებელთა თვალსაზრისით.

(ბ) პასუხისმგებლობა, ფინანსური ანგარიშგების კომპილირების მიზნით, თქვენს მიერ მოწოდებული ჩანაწერების, დოკუმენტების, განმარტებებისა და სხვა ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე.

(გ) პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის საჭირო განსჯაზე/მოსაზრებებზე, მათ შორის, იმ მოსაზრებებზე, რომელშიც ჩვენ დაგეხმარეთ კომპილაციური გარიგების პროცესში.

ჩვენს მიერ წარდგენილი კომპილაციური ანგარიში

გარიგების ფარგლებში, ჩვენ გაცემთ ანგარიშს, რომელიც თან ერთვის ჩვენს მიერ კომპილირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, მასში აღწერილი იქნება ფინანსური ანგარიშგებები და აღნიშნული კომპილაციური გარიგებისთვის ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო [იხილეთ თანდართული]. ანგარიშში ასევე აღნიშნული იქნება, რომ ფინანსური ანგარიშგებების გამოყენება შემოიფარგლება ამ გარიგების წერილში მითითებული მიზნით, და რომ კომპილაციური გარიგებისთვის გაცემული ჩვენი ანგარიში გათვალისწინებულია თქვენთვის და გადმოგეცემათ თქვენ, როგორც [სამეურნეო ერთეულის სახელი]-ის ხელმძღვანელ პირს.

გთხოვთ, ხელი მოაწეროთ და დაგვიბრუნოთ ამ წერილის თანდართული ასლი, რაც გულისხმობს, რომ თქვენ ადასტურებთ და ეთანხმებით გარიგებასთან (რომელიც ეხება ფინანსური ანგარიშგებების ზემოთ აღწერილ კომპილირებას) დაკავშირებულ შეთანხმებებს, და ჩვენს შესაბამის/სათანადო პასუხისმგებლობებს.

[სამუშაო დოკუმენტები]

გარიგების პროცესში, ჩვენს მიერ შექმნილი, შემუშავებული ან შესრულებული სამუშაო დოკუმენტები, ფაილები, სხვა მასალები, ანგარიშები და სამუშაო, არის ჩვენი ფირმის ქონება, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, და შენახული იქნება ჩვენი ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად.

[ფაილების ინსპექტირება]

პროფესიული რეგულაციების შესაბამისად (და ჩვენი ფირმის პოლიტიკის მიხედვით), ჩვენი კლიენტის ფაილები პერიოდულად შემოწმებული იქნება პრაქტიკის ინსპექტირების და გარიგების ფაილების სხვა მიმომხილველთა მიერ, იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩვენი პროფესიული და ფირმის სტანდარტები დაცულია. ფაილის მიმომხილველები ვალდებული არიან და მოეთხოვებთ დაიცვან კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

[დავების გადაწყვეტა/მოგვარება] (სადაც დასაშვებია ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად)

თქვენ ეთანხმებით, რომ:

(ა) ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ გარიგების მნიშვნელობასთან, შესრულებასთან ან აღსრულებასთან დაკავშირებით, სასამართლოში მიმართვამდე, მოგვარდება ნეიტრალური/მიუკერძოებული მესამე მხარის შუამდგომლობით; და

(ბ) თქვენ ჩაერთვებით მოლაპარაკების/შუამდგომლობის პროცესში კეთილსინდისიერად, მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებებთან დაკავშირებით წერილობითი თხოვნა იქნება გაგზავნილი გარიგების ნებისმიერი მხარის მიერ.

ამ გარიგებასთან დაკავშირებით ინიცირებული ნებისმიერი შუამავლობა/მოლაპარაკება უნდა განხორციელდეს _____ კანონის შესაბამისად [შუამავალი ორგანიზაციის სახელი]-ის მიერ მათი საშუამავლო წესების შესაბამისად. ამგვარი შუამავლობის/მოლაპარაკების შედეგები სავალდებულო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე შეთანხმდება ამაზე. შუამდგომლობის/მოლაპარაკების პროცესის ნებისმიერი ხარჯი თანაბრად განაწილდება მონაწილე მხარეებზე.

[ზარალის ანაზღაურება]

[შეამოწმეთ და დარწმუნდით, ამ ზარალის ანაზღაურების ფორმულირება რამდენად დასაშვებია/მისაღებია, და შეესაბამება თუ არა ის ადგილობრივ წესებსა და რეგულაციებს. ასევე მიიღეთ/გაიარეთ იურიდიული კონსულტაციები.]

[სამეურნეო ერთეულის სახელი] თანახმაა, რომ ანაზღაუროს, დაიცვას (ჩვენს მიერ წარდგენილი და დარიგებული ადვოკატის მიერ), და თავიდან აარიდოს ფირმას (და მის პარტნიორებს, აგენტებს ან თანამშრომლებს) ნებისმიერი და ყველა ზარალი, ხარჯები (მათ შორის ადვოკატის საფასურის ჩათვლით), დაზიანება, დახარჯები, სარჩელი, ან ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა (ან მიიღება ქვემოთ ჩამოთვლილის შედეგად):

(ა) [სამეურნეო ერთეულის სახელი]-ის (ან მისი დირექტორების, მოხელეების, აგენტების ან თანამშრომლების) მიერ ნებისმიერი შეთანხმების დარღვევით, მათ შორის, ზემოთხსენებულის უმეტესობის შეზღუდვის გარეშე, ჩვენი გარიგების ანგარიშის ან ფინანსური ანგარიშგებების, რომელზეც გაიცა გარიგების ანგარიში, ან ნებისმიერი სხვა სამუშაო პროდუქტის, რომელიც თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი ფირმი საშუალებით, ბოროტად გამოყენება ან უნებართვო გავრცელება.

(ბ) ამ გარიგების თანახმად ჩვენს მიერ შესრულებული მომსახურებებიდან, თუ ეს დანაკარგები/ზარალი, ხარჯები, ზიანი, და დახარჯები, კომპეტენტური იურისდიქციის სასამართლოს მიერ არ ჩაითვლება როგორც ჩვენი ფირმის დაუდევრობის შედეგად გამოწვეული. იმ შემთხვევაში, თუ საქმე განხილული იქნება სასამართლოში, ჩვენ ვთანხმდებით ერთობლივად, რა ოდენობის საკომპენსაციო თანხა იქნება გადახდილი თქვენი კომპანიის მიერ.

[ვადები]

ჩვენ გამოვიყენებთ მთელ გონივრულ ძალისხმევას, რათა დავასრულოთ გარიგება ამ წერილში მითითებულ ვადებში. თუმცა, ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობა იმ დარღვევების და შეფერხებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჩვენს კონტროლს, მათ შორის, [სამეურნეო ერთეულის სახელი]-ის მიერ მისი ვალდებულებების დავიანებით შესრულების გამო.

[ჩვენი ანაზღაურება/ფასები ჩვეულებრივი/სტანდარტული სატარიფო განაკვეთებით]

ჩვენი პროფესიული მომსახურების ანაზღაურება/საფასური განისაზღვრება ჩვენი სტანდარტული სატარიფო განაკვეთებით, პლიუს ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდები და შესაბამისი გადასახადები, და გადახდას ექვემდებარება წარდგენისას. ნებისმიერი დამატებითი მომსახურების ანაზღაურება ცალკე დადგინდება.

[ან]

[ანაზღაურების /საფასურის კალკულაცია]

ჩვენ გამოვთვალეთ/დავიანგარიშეთ, რომ ამ მომსახურებისთვის ანაზღაურება შეადგენს [თანხა] ლარს, კომპილაციური გარიგებისთვის [თანხა] ლარს პლიუს ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდები და შესაბამისი გადასახადები. ეს კალკულაცია დაფუძნებულია თქვენი პერსონალის მხრიდან სავარაუდო თანამშრომლობაზე და იმ ვარაუდზე, რომ მოულოდნელი გარემოებები არ წამოიჭრება.

თუ საჭირო გახდება მნიშვნელოვანი დროის დამატება, ჩვენ განვიხილავთ თქვენთან ერთად ამის მიზეზებს და დამატებითი ხარჯების წარმოქმნამდე შევთანხმდებით შესწორებულ/განახლებულ საფასურზე.

ანაზღაურების გადახდა ხდება სამუშაოს მსვლელობისას და უნდა დაიფაროს წარდგენისას.

[წინასწარი ჰონორარი]

ჩვენი მომსახურების დაწყებამდე, გთხოვთ, მოგვაცნოდეთ წინასწარი ჰონორარის თანხა [თანხის ოდენობა] ლარი. წინასწარი ჰონორარი თანდართული იქნება ჩვენს საბოლოო ინვოისზე და ნებისმიერი გამოყენებული თანხის ნაწილი დაგიბრუნდება, ჩვენს მიერ ამ გარიგებასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი საფასურის და ხარჯების მიღების შემდეგ.

[ანგარიშის/ინვოისის წარდგენა]

ჩვენს ანაზღაურებაზე/საფასურზე და ხარჯებზე ყოველთვიურად წარდგენილი იქნება ინვოისი/ანგარიში და მათი გადახდა უნდა მოხდეს ინვოისის მიღებისას. თუ ინვოისის/ანგარიშის წარდგენის თარიღიდან 30 დღეში არ იქნება გადახდილი ინვოისები, ისინი შეიძლება ჩაითვალოს გადაუხდელოდ და ექვემდებარება ყოველ თვიურად [რიცხვი] პროცენტის დარიცხვას. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევაჩეროთ ჩვენი მომსახურება ან გავაუქმოთ/გავიდეთ ამ გარიგებიდან იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ნებისმიერი ინვოისი იქნება გადაუხდელო. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი კუთვნილი თანხების ამოღებისთვის რაიმე ქმედება გახდება აუცილებელი, თქვენ ვთანხმდებით იმას, რომ დაფარავთ/ანაზღაურებთ ჩვენს მიერ თანხების ამოღებისთვის გაწეულ ხარჯებს, მათ შორის, იურისტების საფასურს.

[მომსახურების შეწყვეტა]

თუ ჩვენ გადაწყვეტთ, გადაუხდელობის ან ამ წერილში აღნიშნული ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო ჩვენი მომსახურების შეწყვეტას, ჩვენი გარიგება ჩაითვლება დასრულებულად შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებისთანავე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ არ გვექნება დასრულებული ჩვენი ანგარიში. თქვენ ვალდებული ხართ აგვინაზღაუროთ ყოველი დახარჯული დრო და ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდები შეწყვეტის თარიღის ჩათვლით.

[მთავრობის ან სამართლებრივ პროცესებთან დაკავშირებულ რეაგირებაზე გაწეული ხარჯები]

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოგვთხოვენ რეაგირება მოვახდინოთ /ვუპასუხოთ სასამართლოს უწყებაზე, სასამართლოს განკარგულებაზე, სამთავრობო ორგანოს, ანდა სხვა სამართლებრივ პროცესზე წარვადგინოთ დოკუმენტები და/ან მივცეთ ჩვენებები იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ და/ან მოვამზადეთ ამ გარიგების პროცესში, თქვენ ვთანხმდებით, ანაზღაუროთ ჩვენი ჩვეულებრივი საათობრივი განაკვეთებით ის დრო, რომელსაც დავხარჯავთ ამგვარ რეაგირებაზე/პასუხზე და აგვინაზღაურებთ ნაღდი ფულით გაწეულ ხარჯებს (მათ შორის, შესაბამის გადასახადებს).

[სხვა მომსახურება]

ზემოთ ხსენებული კომპილაციური გარიგების მომსახურების გარდა, ჩვენ [როგორც ადგილობრივად ნებადართულია] მოვამზადებთ სხვა საეკილური ანგარიშებს. ხელმძღვანელობა მოგვაცხადის ამ ანგარიშების დასასრულებლად საჭირო/აუცილებელ ინფორმაციას და დროულად გავუგზავნიტ მათ შესაბამის ორგანოებს.

[მარეგულირებელ მოთხოვნებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დამატებითი მომსახურების დეტალების დამატება.]

[ინფორმაციის გამოყენება/დანაშნულება]

ჩვენ უნდა გვეჩვენოს წვდომა თქვენს მიერ შენახულ ყველა პერსონალურ ინფორმაციაზე, რომელიც ჩვენ გვჭირდება გარიგების დასასრულებლად. ჩვენი მომსახურება ითვალისწინებს, რომ:

(ა) თქვენ წარმოგვიდგენთ, რომ ხელმძღვანელობამ მოიპოვა საჭირო თანხმობა ჩვენს მიერ პირადი მონაცემების შეგროვების, გამოყენებისა და გასაჯაროების თაობაზე, რომელიც მოთხოვნილია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ კანონის შესაბამისად; და

(ბ) ჩვენ ყველა პერსონალურ ინფორმაციას შევინახავთ ჩვენი ფირმის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დადგენილების შესაბამისად.

[კომუნიკაცია]

ამ გარიგებასთან დაკავშირებით, ჩვენ შეგვიძლია, დაგკავშირდეთ ტელეფონით, ფაქსიმილით, პოსტით, კურიერისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. რამდენადაც ყველა სახის კომუნიკაცია შეიძლება ხელში ჩაიგდოს ან სხვაგვარად გამოიყენოს მესამე მხარემ, ან შეიძლება არ მიეწოდოს თითოეულ მხარეს, რომლისთვისაც იყო გათვალისწინებული და მხოლოდ ამ მხარეებს, ჩვენ ვერ მოგვცემთ გარანტიას, რომ შეტყობინება სათანადოდ მიუვა მხოლოდ ადრესატს. აქედან გამომდინარე, ჩვენ უარს ვაცხადებთ ნებისმიერ ვალდებულებაზე ან პასუხისმგებლობაზე, თუ ჩვენს მიერ გაგზავნილი შეტყობინება, რომელიც უკავშირდება ამ გარიგების შესრულებას, გასაჯაროვდება ან ხელში ჩაუვარდება მესამე მხარეს. ამასთან დაკავშირებით, თქვენ ეთანხმებით, რომ ჩვენ არ გვექნება არანაირი პასუხისმგებლობა ნებისმიერი პირისთვის ან სამეურნეო ერთეულისთვის რაიმე სახის დანაკარგის ან ზიანის მიყენებისთვის, რომელიც გამომდინარეობს: კომუნიკაციიდან, მათ შორის ნებისმიერი შედეგობრივი, შემთხვევითი, პირდაპირი ან არაპირდაპირი კომუნიკაციიდან; ფაქტობრივი ზარალიდან, როგორიცაა შემოსავლების ან მოსალოდნელი მოგების დაკარგვა; კონფიდენციალური ან კერძო/საიდუმლო ინფორმაციის გასაჯაროებიდან ან გადაცემიდან.

[დასკვნა]

ამ გარიგების წერილში შესულია შესაბამისი პირობები, რომლებიც დაარეგულირებს ამ გარიგებას. ამ წერილის პირობები ცვლის ნებისმიერ წინა ზეპირ თუ წერილობით წარმომადგენლობას ან ვალდებულებებს მხარეთა შორის. ამ წერილში ჩამოთვლილ პირობებში შეტანილი ნებისმიერი არსებითი ცვლილება ან დამატება ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ფორმით იქნება წარმოდგენილი ამ წერილში და ყველა მხარის მიერ იქნება ხელმოწერილი.

გთხოვთ, ხელი მოაწეროთ და დაგვიბრუნოთ ამ წერილის თანდართული ასლი, რათა გამოხატოთ თქვენი დასტური და თანხმობა, ფინანსური ანგარიშგებების კომპილაციის შეთანხმებასთან დაკავშირებით, ასევე ჩვენი პასუხისმგებლობების თაობაზე.

ჩვენ ვაფასებთ თქვენს კომპანიასთან [თანამშრომლობის] ამ შესაძლებლობას.

პატივისცემით,

ხელმოწერა: _____

დადასტურებულია და შეთანხმებულია [სამეურნეო ერთეულის სახელით]:

ხელმოწერა: _____

[ადრესატის სახელი და თანამდებობა]

თარიღი: _____

ფაილის დასრულების საკონტროლო ჩამონათვალის ნიმუში

PSC = პროცედურა წარმატებით დასრულდა

Y/N = დიახ/არა

კომენტარები		იხ. სამუშაო დოკუმენტები	PSC? (Y/N) (ინიციალები)
ზოგადი			
1.	ხარისხის კონტროლი შესრულდა თუ არა გარიგება ფირმის ხარისხის კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად?		
2.	სამეურნეო ერთეულის შესწავლა გვყავს თუ არა შესწავლილი [და დოკუმენტებით დამოწმებული] სამეურნეო ერთეული, და AFRF, იმ დონეზე, რომ განვსაზღვროთ ფინანსურ ანგარიშგებებში ის სფეროები, სადაც კლიენტს შეიძლება დასჭირდეს ჩვენი დახმარება, და არ წარმოიქმნას არსებითი უზუსტობები?		
3.	ფინანსური ანგარიშგებების კომპილირება ცნობილია თუ არა ჩვენთვის ფაქტი, რომელსაც ვთვლით, რომ შეუძლია გამოიწვიოს არსებითი უზუსტობა ფინანსურ ანგარიშგებებში? თუ კი, მაშინ, იყო თუ არა დოკუმენტირებული, ასევე იყო თუ არა ცვლილებები შეთავაზებული და მიღებული ხელმძღვანელობის მიერ.		
4.	პროცედურების დასრულება/შესრულება შესრულდა თუ არა ყველა დაგეგმილი პროცედურა და დაფიქსირდა თუ არა შედეგები სამუშაო დოკუმენტებში?		
5.	ფაილის შემოწმება/მიმოხილვა იყო თუ არა ყველა სამუშაო დოკუმენტი განხილული, პარაფირებული და დათარიღებული? გადაწყდა/მოგვარდა თუ არა გარიგების ყველა საკამათო საკითხი/კითხვა ხელმძღვანელობასთან და ეს დეტალები არის		
6.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება აიღო თუ არა ხელმძღვანელობამ (და/ან TCWG-მ) პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე? თუ კი, მიუთითეთ ვადა: _____ დაადასტურეთ, რომ ასლი არის ფაილში.		
ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და ინფორმაციის გასაჯაროება			
1.	საცდელი ბალანსი შეჯერდა თუ არა საცდელი ბალანსი და ანგარიშების ჯგუფები საბოლოო ფინანსურ ანგარიშგებებში?		
2.	ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები გასაგებად აღწერს თუ არა ფინანსური ანგარიშგებები AFRF-ს?		

კომენტარები		იხ. სამუშაო დოკუმენტები	PSC? (Y/N) (ინიციალები)
3.	სამართლიანი წარდგენის ჩარჩო/საფუძვლები შეტანილი იქნა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებებში ცვლილებები, რომლებიც საჭირო იყო არსებითი უზუსტობების თავიდან ასაცილებლად? კომპილირებული ფინანსური ანგარიშგებები არ არის სხვაგვარად დამაბნეველი (ანუ, სადაც მოთხოვნილია იურისდიქციაში, სამართლიანად არის წარდგენილი, და იძლევა უტყუარ და სამართლიან მოსაზრებას)?		
ანგარიშგება			
1.	ISRS 4410-ის (შესწორებული) მოთხოვნები არის თუ არა კომპილაციის ანგარიშის ფორმა, შინაარსი და თარიღი ISRS 4410-ის (შესწორებული) მოთხოვნების შესაბამისად? • სათაური და შესაბამისი ადრესატი; • განცხადება, რომ პრაქტიკოს-ბუღალტერმა ფინანსური ანგარიშგებების კომპილირება მოახდინა ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე; • ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების აღწერა; • AFRF-ის იდენტიფიკაცია; • ფინანსური ანგარიშგებების იდენტიფიკაცია; • პრაქტიკოს-ბუღალტრის პასუხისმგებლობების იდენტიფიკაცია; • აღწერა, თუ რას გულისხმობს კომპილაციური გარიგება; • თუ ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სპეციალური დანიშნულების AFRF-ით, ახსნა-განმარტებითი პარაგრაფი; და • პრაქტიკოსი-ბუღალტრის ხელმოწერა, ადგილმდებარეობა და თარიღი		

მოამზადა: _____ თარიღი: _____

მიმოიხილა: _____ თარიღი: _____

ალტერნატიული კომპილაციური ანგარიში

ეს ანგარიში შეიძლება გამოყენებული იქნას იმ ფინანსური ინფორმაციის კომპილირების გარიგებაში, რომელიც (იგულისხმება ფინანსური ინფორმაცია) წარმოადგენს რეგულაციებთან შესაბამისობაში ყოფნის მიზნისთვის აუცილებელ/მოთხოვნილ ელემენტს, ანგარიშს ან მუხლს. ქვემოთ მოცემული ანგარიში გამოიყენება კომპილაციური გარიგებისთვის, რომელიც აუცილებელია რეგულატორის მიერ დადგენილი ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების შესასრულებლად. რეგულატორის მიერ დამტკიცებული დებულებების შესაბამისად დადგენილია ფინანსური ინფორმაციის ფორმა და შინაარსი.

პრაქტიკოს-ბუღალტრის კომპილაციური ანგარიში

[განკუთვნილია სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელობისთვის⁷]

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ შევადგინეთ [სამეურნეო ერთეულის სახელი]-ის [ჩამოთვალეთ კომპილირებული ფინანსური ინფორმაცია]-ის თანდართული გრაფიკი, რომელიც მომზადებულია [20XX წლის 31 დეკემბრის] მდგომარეობით.

ეს კომპილაციური გარიგება ჩვენ შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (ISRS) 4410-ის (შესწორებული), *კომპილაციური გარიგებები*, შესაბამისად. ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროში ჩვენი კომპეტენცია და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით აღნიშნული გრაფიკის მომზადებასა და წარდგენაში, როგორც დადგენილია [მიუთითეთ შესაბამისი რეგულაციის სახელი] შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ და დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ეს გრაფიკი და კომპილირებისთვის გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტე და სისრულე არის თქვენს პასუხისმგებლობის ქვეშ.

რამდენადაც კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ მოგვეთხოვება, თქვენს მიერ, აღნიშნული გრაფიკის შედგენისთვის, მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ არც აუდიტორის მოსაზრებას, და არც მიმოხილვის დასკვნას არ ვაკეთებთ, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ეს გრაფიკი მომზადებული [მიუთითეთ მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები როგორც დადგენილია შესაბამის რეგულაციაში] შესაბამისად.

როგორც აღნიშნულია შენიშვნა X-ში, ეს გრაფიკი მომზადებულია და წარდგენილია [მიუთითეთ შესაბამისი რეგულაციით დადგენილი/განსაზღვრული მოქმედი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო/საფუძვლები] შესაბამისად, [სამეურნეო ერთეულის სახელი]-ის მიერ [მიუთითეთ შესაბამისი რეგულაცია]-ის შესაბამისობაში ყოფნის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, აღნიშნული გრაფიკი გამოიყენება მხოლოდ ამ მიზნით და არ შეიძლება იყოს შესაფერისი ნებისმიერი სხვა მიზნისთვის.

ჩვენს მიერ წარდგენილი კომპილაციის ანგარიში, განკუთვნილია მხოლოდ [სამეურნეო ერთეულის სახელი]-თვის და [რეგულატორის სახელი]-თვის, და არ უნდა გავრცელდეს სხვა პირებზე, [სამეურნეო ერთეულის სახელი]-ისა და [რეგულატორის სახელი]-ის გარდა.

[პრაქტიკოს-ბუღალტრის ხელმოწერა]

[პრაქტიკოს-ბუღალტრის ანგარიშის თარიღი]

[პრაქტიკოს-ბუღალტრის მისამართი]

⁷ ალტერნატიულად, მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებში მითითებული შესაბამისი ადრესატი

